

მიხედეთ მინას; მინა დაგაპყრებთ და ვაგათზობთ თქვენ!

ჩილა—ქ

AgroNews.ge

New  
სხალი  
ეპიდემიური

# საქართველო

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

№1-2 (90), იანვარი-თებერვალი, 2019

**ბიოაგრო**  
**BioAGRO**  
მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი  
CENTER of BIOLOGICAL PROTECTION OF PLANTS

შენი ორგანული  
მეურნეობისთვის



მცენარეთა დაცვისა და გაყოკვების  
ბიოლოგიური საშუალებები

**WWW.BIOAGRO.GE**

599 58 24 20; 597 90 08 38; 591 61 90 88; 599 16 05 10



**უხვი მოსავლისთვის!  
FOR RICHER HARVESTS!**

**უამიანეთ სივინდის  
სართიფინჩირაბული ქარტული თხლი  
ლომთაგორა!**



**ლომთაგორა  
LOMTAGORA**

[www.lomtagora.com](http://www.lomtagora.com)  
[info@lomtagora.com](mailto:info@lomtagora.com)  
Tel: 596 585 585





ახალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

იანვარი-თებერვალი, 2019 წელი.

№1-2 (90)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი), ნუგზარ ებანიძე, რეზო ჯაბინძე, მიხეილ სოსხაძე, თამარ სანიაცი, რუსუდან გიგაშვილი (კონსულტანტი), თონა ნოზაძე, ნოდარ ბრეგვაძე, ბექა გონაშვილი, გიორგი ბარისაშვილი (მეცნიერება-მედიცინის რედაქციის რედაქტორი), დავით ბირაკაძე (რედაქტორი), მალხაზ ხაზარბეგაშვილი (ელ. ჟურნალ agronews.ge-ს კონსულტანტი) ნუგზარ ოქრობერიძე თამთა გუგუშვილი (ინგლ. ვერს. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რეკვან მახარაბიძე (თავჯდომარე), გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტყარაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგზარ ებანიძე, პაატა კოლუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, ანა გულბანი, ლევან უჯმაჯურიძე, ზაურ ფულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე, ქრისტო კახნიაშვილი, ადლო ტყემელაშვილი, ნატო კაკაბაძე, კუკური ძერია, კახა ლაშვი, ჯემალ კაციტაძე, ნუკრი მემარნიშვილი, ნიკოლოზ ზანაშვილი, მიხეილ ჭიჭაყუა, დავით ბოსტაშვილი, იოსებ სარჯველაძე, ნუგზარ სარჯველაძე, თენგიზ ყურაშვილი, ანატოლი გიორგაძე, ლევან თორთლაძე, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე.

დააკაბადონა გიორგი მაისურაძემ

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. The journal acts in accordance with the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია. All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

(ციფრული ბიბლიოთეკა)

www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა); Association of Agrarian Sector Companies (ASCA). საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“; Regionica — Georgian Research Center for Regional Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53 ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00 599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

www.agronews.ge

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

როგორი ნაიკითხავთ:



4

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არ არიან ორიენტირებული საკუთარ მოგებაზე. მათ მიზანს უპირატესად წევრების მოგების გაზრდა წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არ არიან ორიენტირებული საკუთარ მოგებაზე. მათ მიზანს უპირატესად წევრების მოგების გაზრდა წარმოადგენს.



11

საქართველოს შველა მუვანაშვილი-მედიცინის მკვლევარი ინდუსტრიის შექმნაში

ქვეყანაში ვენახების საერთო ფართობი 100 ათას ჰექტარამდე მანაც უნდა გაიზარდოს.



30

ანგუსი - ჩრდილოეთ ამერიკის შავი ოქრო

ეს ჯიში გამოირჩევა სწრაფი მომწიფებით (ზომები იზრდება სწრაფად, მაგრამ ადრე ჩერდება). ახლადმოგებული ხბოს წონა დაახლოებით 16-25 კგ-ია.

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეფერირებულია 2009 წლიდან. სამეცნიერო სტატიის მოცულობა ინტელისურენოვანი რეზიუმეს და გამომყვანული ლიტერატურის თანხლებით არ უნდა აღემატებოდეს 1,5 ინტერვალს, სიღრმე 12 ზომის შრიფტით ნაბეჭდ თაბასის 7 (შვილ) გვერდს.

ჩვენი რეკვიზიტები:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველო“ გამომცემელი) „აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ ს/ს 404856483 ს/ს „ზაზისბანკი“ BASGE22(220101956) ა/ნ GE23BS000000034536405 მის: თბილისი, გორგასლის ქ. 51

8 ჩაწერილი 2018 წელი ქართული მუვანაშვილი-მედიცინის სფეროში

14 ზაზის საყრდენი სისტემა

16 პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებული გლახის თანამდროვე საქართველოს აგრარული პოლიტიკის სახე

17 ასეთი სახანაო და აგრარული პოლიტიკით სოფელს კი არა, მუვანაშვილი მიატოვებენ კახი!

19 საქართველოს სოფლის მეურნეობის მუხნიანობათა აკადემიის საქმიანობის სრულყოფის პროგრამა 2018-2022 წლებში

21 სოფლის მეურნეობის სტაბილური და მდგრადი განვითარების პრიორიტეტული ღონისძიებები

25 ქართული კონიაჰის ტიპის მუვანაშვილი-მედიცინის სახელი მუხნიანობა

26 „ხალხის საკითხიდან და ბედნიერი მომავლისათვის“

28 კიბრის კულტურა სათბურში

32 ბავშვთა კითხვა აგრარულთან?

33 ბავშვთა კითხვა მუხნიანობასთან?

34 ის მარტო თეორიულია კი არა, კარგი პრაქტიკული და მრჩეველია



## სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების სარტყპორისო გომოსდილება

კოოპერაციული უთიერთობების ინტანსიური განვითარება მი-19 საუკუნის შუა პერიოდთან დაიწყო, რაც განვითარებულ ფულად-სასაქონლო ურთიერთობების გზაზე მდებარე ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო სისტემისა და სუსტი ეკონომიკური პოტანსიალის მქონე წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობების სასაქონლო გაზრდებთან, განვითარებულ წარმოების საშუალებებთან და საკრედიტო რესურსებთან სტაბილური კავშირების დამყარების აუცილებლოვით იყო განვირგობაში. კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმების და გარდაქმნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ კოოპერაცია უაღრესად დიდ როლს თამაშობს კრიზისების გადალახვის, სოციალური პრობლემების მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ქმედითუნარიანობის ამაღლების საკითხებში.

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ სანდისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნეის. ამიტომ ამ ქვეყნებში კოოპერაციის პროცესი ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მარგანიზებული როლითა და ხელშეწყობით წარიმართა. აღსანიშნავია, რომ ამ სახელმწიფოებში საზოგადოებას და ხელისუფლებას ადექვატურად ქონდათ გააზრებული ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში კოოპერაციების უმნიშვნელოვანესი მისია.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან კოოპერაციის ხელშეწყობა ატარებს ციკლურ ხასიათს და სხვადასხვა პერიოდში დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეზე. სახელმწიფოს ფუნქციები ძირითადად მიმართულია კოოპერაციის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე და კანონმდებლობის სრულყოფაზე ახალი ტენდენციების გათვალისწინებით. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს კოოპერაციის სახელმწიფო რეგულირებას შეღავათიანი რეჟიმების გამოყენებით, რაც გამოიხატება კოოპერაციების სუბსიდირების და მათ მიმართ შეღავათიანი საგადასახადო და დაკრედიტების პოლიტიკის გატარებაში. დღეისათვის კოოპერაციები გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და მათში ჩართულია მილიარზე მეტი ადამიანი. ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვეს სასოფლო-სამეურნეო (30%), სავაჭრო (23%), სადაზღვევო (22%) და საკრედიტო (19%) კოოპერაციებმა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში, მოსახლეობის დასაქმებასა და სოფლიდან მიგრაციის შეჩერების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უზენაესი „კოოპერაციული პრინციპები“, რომლებიც მათ გამოარჩევენ სხვა ტიპის ბიზნეს-სუბიექტისგან:

● სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებს ფლობენ და დემოკრატიულად აკონტროლებენ ისინი, ვინც მათი მომსახურებით სარგებლობენ;

● სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების მოგება ნაწილდება მის წევრებზე, მათ მიერ კოოპერაციის მომსახურების სარგებლობის პროპორციულად;

● სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წევრის პაი ცვალებადია და გადაანგარიშდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კოოპერაციის საწარმოო ბრუნვაში ამ წევრის მიერ შექმნილი პროდუქციის და/ან განეული მომსახურების ღირებულების სვედრითი წილის შესაბამისად;

● სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების მეპაიეები (განსხვავებით სხვა ტიპის კოოპერაციებიდან) არიან მხოლოდ ფერმერები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციები. მეპაიეების უფლება და მოვალეობა – მონაწილეობა მიიღონ კოოპერაციის სამეურნეო საქმიანობაში;

● სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შიდააკონტროლებელ მექანიზმს განსაზღვრავს ორი ასპექტი – წევრთა ხმის უფლება და სამეთვალყურეო საბჭო;

● სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების უმრავლესობაში ყოველ



წევრს აქვს თანაბარი და მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ეს ნიშნავს, რომ ყველა წევრს აქვს თანაბარი უფლება ჩაერიოს კოოპერატივის საქმეებში, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა სიდიდისაა მათი საპაიო შენატანი;

● სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არ არიან ორიენტირებული საკუთარ მოგებაზე. მათ მიზანს უპირატესად წევრების მოგების გაზრდა წარმოადგენს.

საქართველოში კოოპერაციის პროცესის განსაკუთრებული მნიშვნელობის სათანადო შეფასებისთვის და მიმდინარე პერიოდში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ასევე საქართველოს მოსახლეობის ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით ეფექტური კოოპერაციული მოდელის შემუშავებისთვის, მნიშვნელოვანია ამ კუთხით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების არამარტო ზოგადი, არამედ სიღრმისეული გაანალიზება განვითარების ეტაპების მიხედვით, რადგან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კოოპერაციის და აგროსამრეწველო ინტეგრაციის მდიდარი გამოცდილება იძლევა საკმარის მასალას, სისტემური ანალიზის საფუძველზე მათი სამეცნიერო და პრაქტიკული განზოგადებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების და სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკას წარმოადგენთ ესპანეთის მაგალითზე:

ესპანეთში კოოპერაციული სისტემის სამართლებრივ საფუძველს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ესპანეთის კონსტიტუციის (1978წ.) 129.2 მუხლი: „სახელმწიფო ორგანოებმა ეფექტურად უნდა დასახონ წარმოებაში მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები და ხელი შეუწყონ კოოპერატივების ჩამოყალიბებას არსებული კანონმდებლობის საფუძველზე“.

ესპანეთში აგროსასურსათო კოოპერატივების რაოდენობა მიმდინარე პერიოდში შეადგენს 3.380-ს, სადაც განვერიანებულია 1 მლნ-მდე ფერმერი; გრძელვადიანი და მოკლევადიანი კონტრაქტებით დასაქმებულია 96 ათასი ადამიანი; კოოპერატივების წლიური საქონელბრუნვა შეადგენს დაახლოებით 26 მრდ. ევროს, საიდანაც ექსპორტის მოცულობა შეადგენს 27%-ს. დღეს ესპანეთის მთლიანი საქონელბრუნვის 47% ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპე-

რატივების მიერ, რომელთაგან 36% ახორციელებს ექსპორტს. ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის ერთი კოოპერატივიდან 1 მილიარდი ევრო.

ესპანეთის რეფორმების წარმატების მთავარი მიზეზს სოფლის მეურნეობაში კოოპერატივების განვითარება წარმოადგენს. აგროსასურსათო სექტორის პროდუქციის 60%-ს კოოპერატივები აწარმოებენ. ესპანეთი მთელ რიგ სფეროებში: ღვინო, ხილ-ბოსტნეული, ზეთის ხილის წარმოება და სხვა პირველ ადგილზეა ევროპაში. „სოფლის მეურნეობის საკრედიტო ბანკი“, რომლის მოქმედების პერიოდი იყო 30 წელი, ფუნქციონირებდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე. ამ პერიოდში არსებობდა სახელმწიფო საკონსულტაციო ცენტრები. 1978 წლიდან სახელმწიფო აღარ მართავდა ამ სფეროს. შეიქმნა კოოპერატივების ასოციაციები, საკრედიტო კოოპერატივები, კოოპერატივების საკრედიტო განყოფილებები. კოოპერატივებს გაუჩნდა საკუთარი ხმა მთავრობის და ქვეყნის წინაშე.

ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ამოქმედების შემდეგ, ესპანეთმა დაიწყო სტანდარტების შემუშავება და სოფლის მეურნეობის დარგის სახელმწიფო დახმარების ხაზის შექმნა. აღნიშნული პროცესი შემდეგ სტრატეგიულ ღონისძიებებს მოიცავს:

- წარმოების დაგეგმვაზე ორიენტირებული ღონისძიებები;
- კვლევებსა და ექსპერიმენტალურ წარმოებაზე მიმართული აქტივობები;
- ტრენინგებსა და მრჩეველთა მომსახურებებზე მიმართული ღონისძიებები;

- გარემოსდაცვითი ღონისძიებები;
- სხვა ღონისძიებები, ქმედებები, ინვესტიციები და ხარჯების კონცეფციები.

ესპანეთში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და განვითარების სტრატეგიები არსებობს ცალკეული რეგიონების მიხედვით.

მაგალითად, ვალენსიის რეგიონის სოფლის მეურნეობის, გარემოს, კლიმატის ცვლილებისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტმა გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის და პოპულარიზაციის პოლიტიკა, რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

1. ვალენსიის აგრარული კოოპერატივების ინსტიტუტის ღონისძიებები (1984-1994);
2. კოოპერატივების მხარდაჭერა (ეტაპი I 1994-2004);
3. კოოპერატივების მხარდაჭერა (ეტაპი II 2004-2011);
4. მომარაგება და კოოპერატივების კონცენტრაციის (გამსხვილების) ღონისძიებები (2011-2015);
5. აგრარული პროდუქტების წარმოები და მიწოდების კონცენტრაციის ღონისძიებები (2015-2017).

ვალენსიის აგრარული კოოპერატივების ინსტიტუტის (ICAV) ფუნქციები (1984-1994):

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა წარმოების, მარკეტინგის და სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტების კუთხით;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და აგრარული კვლევების





განხორციელება და კვლევების შედეგების გავრცელება კოოპერაციულ გაერთიანებებში;

- სპეციალიზირებული სასოფლო-სამეურნეო განათლების უზრუნველყოფა და ფერმერებისთვის ტრენინგების ჩატარება კოოპერაციის საკითხებში;

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ესპანეთის და ვალენსიის მთავრობის აგრარული პოლიტიკის და სამოქმედო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

- ნებისმიერი ღონისძიების განხორციელება ვალენსიის რეგიონში აგრარული კოოპერაციული ორგანიზაციების დასახმარებლად.

1995 წელს დამტკიცდა ვალენსიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების „გენერალური გეგმა“ (1995-2000 წწ.). აღნიშნული გეგმის ძირითადი ამოცანები იყო:

- კოოპერაციული სანარმოების რესტრუქტურისაცია, რათა მიეღოთ ისეთი სანარმოო და სადისტრიბუციო სტრუქტურები, რომელთა ეკონომიკური მასშტაბის ეტაპობრივი კონცენტრაციის გზით, გააუმჯობესებდნენ საკუთარ გავლენებს ბაზრის სეგმენტებზე. ასევე კოოპერატივებს შეექმნათ კოოპერაციული გაერთიანებები ბაზრის სეგმენტებზე მაღალი კონცენტრაციის მისაღწევად;

- კოოპერაციული სანარმოების ხელშეწყობა იმ დარგებსა და სანარმოებში, სადაც კოოპერაციული საქმიანობა სუსტად იყო განვითარებული;

- კოოპერატივების ფინანსური სტრუქტურების გაძლიერება, განსაკუთრებით იმ კოოპერატივებში, რომელთაც ქონდათ საკრედიტო განყოფილებები;

- კოოპერატივების წევრების, მმართველი საბჭოების და მენეჯერებისთვის ტრენინგის სათანადო დონის უზრუნველყოფა;

- ჩარჩო ხელშეკრულებების საშუალებით, ისეთი აქტივობების განსა-

ხორციელებლად, როგორცაა: ტრენინგი, რეკლამა, კოოპერატივებში სამუშაოს კოორდინირება და სხვა, ვალენსიის მთავრობიდან დახმარება მიიღო ვალენსიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფედერაციამ.

2015 წლის 16 მაისს, ვალენსიის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება №15, რომლითაც განისაზღვრა სუბსიდიების გაცემის მარეგულირებელი ბაზა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრაციისათვის ვალენსიის რეგიონში.

აღნიშნული ბრძანების მიზანი იყო კვების ინდუსტრიაში და ვაჭრობის სფეროში კოოპერატივების პოზიციების გაძლიერება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, კოოპერატივების გამსხვილების და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობით.

ვალენსიის რეგიონში სამთავრობო დახმარების სპექტრი იყო საკმაოდ მრავალფეროვანი და მოიცავდა ყველა შესაბამის სფეროსა და ღონისძიებას: განვითარების გეგმების შემუშავება, საინვესტიციო ანალიზი, ბაზრის კვლევისა და მართვის სისტემები, მინის იჯარა, ტრენინგი, კაპიტალიზაცია, კომერციალიზაცია, კონსოლიდაცია, საჭირო სპეციალისტების დაქირავება, დივერსიფიკაცია, ინტეგრაცია, ახალგაზრდების სწავლება და დასაქმება, ვალდებულებათა სტრუქტურირება, დაფინანსება, პროპაგანდა, ინფორმაციის გენერირება – გავრცელება, სტრუქტურული მოდერნიზაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების კონვერსია ახალ სახეობებზე, ადაპტირება ახალი ტენდენციებზე და ტექნოლოგიებზე.

კოოპერატივების წევრების ცოდნის ამაღლების კუთხით კარგ მაგალითს წარმოადგენს ვალენსიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფედერაციის მიერ ATRIAS-ის

(ინტეგრირებული მიდგომა სოფლის მეურნეობაში) ქსელის შექმნასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები.

გასული საუკუნის 70-იან წლებში გარემოსდაცვითი მიდგომების შესახებ ცნობიერება საზოგადოებაში სულ უფრო წინ მიდიოდა და პესტიციდების და სასუქების არასწორი გამოყენების შედეგად მიღებული ზიანის შესახებ უფრო ფართო მასებისთვის გახდა ცნობილი. შესაბამისად, დადგა საჭიროება სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიონალიზმის დონის ამაღლებისა, რომლის მიზანი იყო პროფესიონალი კადრების მოზადების სისტემის შექმნა, რომელიც ფერმერებს დაეხმარებოდა უსაფრთხო პროდუქციის წარმოებაში.

მაშინდელ პერიოდში ესპანეთში ფერმერული მეურნეობები ჯერ კიდევ არ იყვნენ მომგებიანი და არ ჰქონდათ შესაძლებლობა აენაზღაურებინათ ტრენინგებისა მომსახურებების საფასური. ამიტომ აღნიშნული სისტემის შექმნისთვის აუცილებელი იყო ადმინისტრაციის მხარდაჭერა.

1993 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა პირველი განკარგულება ATRIAS-ის შესახებ, სადაც გამოკვეთილი იყო შემდეგი მიმართულებები:

- ინტეგრირებული კონტროლი ტექნოლოგიების და ფიტოსანიტარული პროდუქტების რაციონალური გამოყენებაზე;

- სპეციალიზირებული პერსონალის ტრენინგები და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა;

- ფერმერების ჯგუფების წახალისება ინტეგრირებული ფიტოსანიტარული მიდგომის (ATRIAS) განხორციელებაში.

მინისტრის ბრძანებულების თანახმად ATRIAS-ის ფორმირება მინიმუმ 10 ადამიანს შეეძლო, მინიმალური ფართობი კი დარგის მიხედვით დგინდებოდა. უფრო მეტიც, მთავრობა



ანაზღაურებდა მათ მიერ დაქირავებული ტექნიკური პერსონალის ხელფასს მთლიანად ან ნაწილობრივ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

სპეციალისტები, აღნიშნული გუნდის მთავარი საყრდენები გახდნენ, ისევე როგორც აგრო-სასურსათო სისტემისა, იმიტომ რომ ისინი პირველადი წარმოების სფეროს ბაზრებთან აკავშირებდნენ. რეგულაციები მუდმივად ვითარდება და შემდეგ კონტრიბუციას ცნობს: სასურსათო უსაფრთხოება, ხარისხი, მიკვლევა-დობა, ფიტოსანიტარული პროდუქციის მდგრადი გამოყენება და ა.შ.

მთავრობამ მხარი დაუჭირა ATRIAS-ს მოძრაობას ტრენინგებისთვის ნორმატიული ჩარჩოს დაწესებით, რომლის ფარგლებშიც მოხდა ტრენინგის აღიარება, რაც უმთავრესი იყო სპეციალისტისთვის, რათა გამხდარიყო ATRIAS-ის ლიდერი.

1989 წლიდან 2010 წლამდე, ვალენსიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფედერაციამ მარცვლეულის წარმოების ინტეგრირებული კურსის პროგრამის ფარგლებში 600-ზე მეტი სპეციალისტი გადაამზადა. 2010 წელს ფედერაციამ მოახდინა ონლაინ კურსის პრეზენტაცია, ხოლო 2016 წლისთვის გადაამზადა 197 პროფესიონალი.

ტრენინგი ვერ იქნებოდა წარმოდგენილი 1 საგნის შესწავლით, რადგან სპეციალისტმა უნდა მიიღოს მუდმივი და განგრძობითი ტრენინგი, ისე რომ მას ქონდეს წვდომა უახლეს ტექნოლოგიებზე, პროდუქტებზე და სახეობებზე, რათა მან ეფექტიანად და მდგრადად შეძლოს მუშაობა. ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა სპეციალისტების ქსელი, რომლებიც კოორდინირებულად მუშაობენ, შეუძლიათ ინოვაციების შესახებ ცოდნის გავრ-

ცელების კუთხით თანამშრომობა და ასევე იქნებიან მუდმივი გადამზადების პროცესის მონაწილეები.

ATRIAS-ის ქსელის დაფუძნების საშუალებით და სპეციალისტების ფუნდამენტური როლის მეშვეობით, შემდეგი მიღწევები გახდა ხელმისაწვდომი:

- პირველადი წარმოების ტექნიკით აღჭურვამ ბევრად გააუმჯობესა და გაზარდა ფერმების კომპეტენცია;

- სპეციალისტებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს ფერმერების გადამზადებაში;

- ქსელმა საფუძველი ჩაუყარა უსაფრთხო და მაღალი ხარისხის წარმოების მოდელის შექმნას, რაც საჭირო ინსტრუმენტია მოთხოვნილი ხარისხის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად ევროკავშირების რეგულაციებთან შესაბამისობაში;

- ფერმერებმა შესძლეს და თავი გაართვეს რეგულაციებს პესტიციდების პროდუქტების წარმოებიდან ამოღებასთან დაკავშირებით;

- დაბინძურება მცენარეთა დაცვის პროდუქტების და სასუქების გაურკვეველი გამოყენებით მნიშვნელოვანდ შემცირდა, რასაც მოყვა შემდგომი გაუმჯობესება გარემოს დაცვით და მომხმარებელთა ჯანდაცვის კუთხით;

- ფერმერების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ ინტეგრირებულ წარმოებაში, ორგანული ფერმერული მეურნეობის სტანდარტების დაცვით, გაიზარდა. ამჟამად ვალენსიაში მსგავსი მიდგომით 32 000 ჰა მიწის ნაკვეთი მუშავდება.

- ATRIAS-ში შემავალი ფერმერები სარგებელს ნახულობდნენ ევროკავშირის ერთობლივი სასოფლო-სამე-

ურნეო პოლიტიკისგან, რადგან ისინი აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილი ხარისხის სტანდარტების უმეტესობას. 2004-2010 წლებში ATRIAS-ში ჩართულმა ფერმერებმა ევროკავშირის სუბსიდიები მიიღეს 1 ჰექტარზე 150-დან 430€-მდე, ფართობზე მოყვანილი მარცვლეულის სახეობების მიხედვით.

ესპანეთში კოოპერატივი აღიარებულია როგორც „განსაკუთრებული“ საწარმო, რადგან ისინი სოციალური ეკონომიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, სადაც გადანყვეტილებათა მიღება და მოგების განაწილება, სხვა სამეწარმეო ფორმებისგან განსხვავებით, არ ხდება შენატანი კაპიტალის მიხედვით. კოოპერატივის ეტიკის საფუძველს წარმოადგენს პრინციპები, ღირებულებები, პასუხისმგებლობა და საქმიანობის სოციალური შედეგები. ეკონომიური მართვის ძირითადი პრინციპი – რენტაბელობა მისთვის წარმოადგენს მიზანს იმდენად, რამდენადაც ის იძლევა მისი წევრების ეკონომიური და სოციალური განვითარების საშუალებას. ესპანეთის სასოფლო-სამეურნეო სექტორის კოოპერატივიზაციის სტრატეგიული ხედვა და მისიაა: „სტიმული უნდა მივცეთ კოოპერატივის მომგებიანი, კონკურენტუნარიანი, მაღალპროფესიონალური, დამატებითი ღირებულების შემქმნელი, მზარდი მასშტაბების ბიზნეს მოდელის შექმნას, რომელიც გახდება ესპანეთის სასოფლო-სამეურნეო სექტორის მდგრადობის გარანტი“.

**დავით გამუჰაელოვი**

*სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მიზნობრივი პროექტების სამსახურის უფროსი*

**რეზიუმე**

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საერთაშორისო გამოცდილება**

სტატიაში მოცემულია, თუ რა როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ სასოფლო-სამეურნეო სისტემისა და სუსტი ეკონომიკური პოტენციალის მქონე წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობების გაძლიერების და ზოგადად ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური და სოციალური განვითარების კუთხით. განსაკუთრებით საყურადღებოა ესპანეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების მაგალითი, სადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ინტენსიური პროცესი განხორციელდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და იგი სახელმწიფოს მაორგანიზებელი როლით წარიმართა. სტატიაში დეტალურადაა წარმოდგენილი ესპანეთში და ვალენსიის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების დინამიკა და ამ პროცესის სამთავრობო მხარდაჭერის და რეგულირების საკითხები.

# ჩაკლილი 2018 წელი ქართული მევენახეობა-მელვინეობის სფეროში



**გთავაზობთ, ტრადიციული წლის მიმოხილვას საქართველოს ვაზისა და ღვინის სფეროებში. მოკლედ გადავავლოთ თვალი ღარბში მომხდარ მოვლენებს. უპირველესად შევეხეთ ამ სფეროების ღარბობრივ გამოცამბებს.**

საკითხი ძალზე პრობლემატურია, რადგან დრო მიდის და თანამედროვე, პოპულარული ენით დაწერილი ლიტერატურა ფაქტობრივად არ მოგვეპოვება იშვიათი გამონაკლისების გარდა. გვაქვს შემთხვევები, როდესაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩარჩენილი ზოგიერთი ავტორი ამავე პერიოდის ლიტერატურის კოპირებითაა დაკავებული, რომელსაც საკუთარი გვარ-სახელით გთავაზობს და სხვა. სამწუხაროდ ამგვარი ლიტერატურა ყოველწლიურად გამოიცემა. ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ არ არსებობს რაიმე კომისია, რომელიც ვაზისა და ღვინის სფეროს გამოცემებსა და თუნდაც ცალკეულ სტატიებს გააკონტროლებდა. დღეს ყველაზე მეტად დგას ამგვარი კომისიის შექმნის აუცილებლობის საკითხი, რათა თავიდან ავიცილოთ ზოგიერთი იმგვარი სამარცხვინო „მაკულატურის“

გამოცემა, როგორებიც უკვე მოესწრო ბოლო წლების განმავლობაში. ამ მხრივ არც გასული წელი იყო გამონაკლისი და არც მომავალი წელი იქნება, სავარაუდოდ. თუმცა საკითხი საზოგადოებას მივანდოთ და მან თავად განსაჯოს ამა თუ იმ გამოცემის ავკარგიანობა. გასულსავე წელს დაფიქსირდა ერთი პლაგიატის შემთხვევა, რომელიც მევენახეობის ლიტერატურას ეხება, თუმცა ამ თემას არ დავაკონკრეტებთ.

დავინყებთ ბატონ ნუგზარ ბალათურისა და ქალბატონ ნანა ბეგიაშვილის ნაშრომით „ქვევრის ღვინის ქართული ტექნოლოგია“. მონოგრაფია მეცნიერულ ხასიათს ატარებს და ის პრაქტიკოსი მემარნეებისთვის არ არის განკუთვნილი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ბატონი ნუგზარ ბალათურის 2015 წელს გამოცემული წიგნი „ენოლოგია“, რომელიც მიზეზთა გამო 2015 წლის მიმოხილ-

ვაში სამწუხაროდ არ გვექონდა მოხსენიებული და ამ შეცდომას ახლავს ვასწორებთ.

მომდევნო ნაშრომი, სახელწოდებით „მემარნის უბის წიგნაკი“, ეკუთვნის ბატონ მირიან ნიკოლაძეს. წიგნი ნამდვილად საინტერესოა, რადგან გარდა ძირითადი, ავტორისეული მოსაზრებებისა, მასში განხილულია სხვადასხვა ავტორების სტატიებიდან და წიგნებიდან აღებული ინფორმაცია.

გასულ წელს გამოიცა გ. ბარისაშვილის ორი ბროშურა „ქვევრი და ღვინო“, რომელიც ეხება კონკრეტულად ქვევრში კახური ტრადიციული ქარვისფერი ღვინის დაყენებას და „მარნის აშენება და მოწყობა“, რომელიც წარმოადგენს ტრადიციული მარნების მშენებლობის ერთგვარ ილუსტრირებულ სახელმძღვანელოს.

ძალზე საინტერესოა ბატონ დავით ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი წიგნი „GEORGIA the CRADLE of viticulture“ (საქართველო – მეღვინეობის აკვანი). წიგნი გამოიცა სპეციალურ საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით. ის, ამავდროულად, შესანიშნავი საჩუქარი იქნება საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობით დაინტერესებული უცხოელებისთვისაც.

მომდევნო გამოცემაა სიმონ ვოლფის ინგლისურენოვანი წიგნი „AMBER REVOLUTION“ (ქარვისფერი რევოლუცია). საკმაოდ მოცულობით, ილუსტრირებულ წიგნში თავმოყრილი არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მემარნეები, რომლებიც მისდევნენ ნატურალურ მეღვინეობის მიმართულებას. წიგნში შესულია საქართველოც. აღსანიშნავია, რომ ავტორი თავად იყო ჩამოსული საქართველოში და მან თვითონ მოიარა საკუთარ წიგნში შეტანილი ყველა მარანი და ადგილი.



გვინდა შევეხოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან სტატიას, სათაურით „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციათა მუზეუმი – კოლექცია საქართველოში მევენახეობა-მელვინეობის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „LA REVUE DES MUSÉES DE FRANCE“ (საფრანგეთის მუზეუმების მიმოხილვა), ავტორები: ედუარდ დე ლაუბრი, მერაბ მიქელაძე, გ. ბარისაშვილი.

ქალაქ მარსელში მდებარე მუზეუმში გაიხსნა საქართველოს კუთხე. ამისათვის ქართულმა მხარემ მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ექსპონატები. პერიოდულ ჟურნალში მოთხრობილია საქართველოს მევენახეობა-მელვინეობისა და ქართული კულტურის შესახებ. ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობა მარსელის მუზეუმთან.

ქართული სოფლის მეურნეობისა და კონკრეტულად მევენახეობა-მელვინეობის სტატიების მხრივ მუშაობს აგრძელებს ჟურნალი „აგრარული საქართველო“, რომელიც მკითხველს ყოველთვიურად სთავაზობს ვაზისა და ღვინის სფეროდან დარგობრივ სტატიებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

შემდეგი გამოცემაა შალვა ავალიანის „ღვინის ტექნოლოგია“ (მეორე გამოცემა). ეს სახელმძღვანელო ავტორმა 1969 წელს გამოსცა.

ცხადია, აღნიშვნის ღირსია „ქართული ღვინის გზამკვლევი“ მალხაზ ხარბედიას ავტორობით. ამ წელს გზამკვლევი სამენაზე გამოიცა. გზამკვლევი ყოველწლიურად გამოდის და ის დიდ სამსახურს უწევს ქართული ვაზისა და ღვინით დაინტერესებულ ადამიანს, ქართველსა თუ უცხოელს.

გასული წლის მიწურულს გამოიცა ნიგნი „ქართული ვაზის ჯიშები“. ავტორები: ლევან უჯმაჯურიძე, გიორგი კაკაბაძე, ლონდა მამასახლისაშვილი. გამოცემა უდაოდ უნდა ჩაითვალოს წლის მოვლენად ქართული ვაზისა და ღვინის სფეროებში. ესაა ილუსტრირებული და სრული კატა-

ლოგი ქართული ვაზის ჯიშებისა, სადაც გარდა ძველი ქართულისა, შესულია ასევე ახალი, სელექციური ჯიშებიც. მასში მოცემულია იმ ვაზის ჯიშთა ჩამონათვალიც, რომლებიც დაკარგულად ითვლებიან.

საქართველოს ვაზისა და ღვინის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემა ბატონი ლევან ფრუიძის შესანიშნავი ნაშრომი „საქართველოს მევენახეობისა და მელვინეობის ისტორია“ (ნიგნი 3). პირველ ორ ტომთან ერთად ეს გახლავთ დიდი შენაძენი, რომელიც, მეორე მხრივ, განხლავთ ბატონი ლევანის ვაზისა და ღვინის სფეროში ათეულობით წლების ერთგვარი შეჯამება. ნიგნი გამოიცა ღვინის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით.

მომდევნო გამოცემა გახლავთ ბატონი თამაზ კობაიძის შესანიშნავი და ამასთან ძალზე საჭირო ნიგნი „მევენახეობა-მელვინეობის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. ამგვარი ვრცელი და სერიოზული ნაშრომი ჩვენ აქამდე არ მოგვეპოვებოდა და,


და ბოლოს, მალხაზ ხარბედიას ავტორობით გამოცემული ნიგნი „ღვინის მეგზური“ (პრაქტიკული სახელმძღვანელო). მეგზურში განხილული აჭარის მევენახეობა-მელვინეობა და ღვინის ტურიზმი.

ამრიგად, 2018 წელი აქამდე ჩვენს მიერ განხილულ სხვა წლებთან შედარებით უდაოდ ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. თუმცა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე ამ მხრივ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება.

დარგში გადაღებული ფილმებიდან ვფლობთ საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ პროექტს მოკლემეტრაჟიანი საპოპულარიზაციო ფილმის სახით – „საქართველო – ღვინის სამშობლო“. ფილმი ეხება საქართველოს ღვინის კულტურასა და ბორდოში გახსნილი ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის მუზეუმის საკითხებს და ამრიგად ისაა ერთგვარი მატთანე.

ახლა კი ერთად გადავავლოთ თვალი ჩვენი ქვეყნის ვაზისა და ღვინის სფეროების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებს. გასული წლიდან ღვინის ეროვნულ სააგენტოს ხელმძღვანელობს ახალი მმართველი ბატონი ლევან მეხუელი. ქართულ მევენახეობა-მელვინეობაში უკვე დიდი ხნის წინ შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამომდინარე სააგენტოს ახალ მმართველს ვუსურვებთ, ღირსეულად გაძლოდეს დაკისრებულ მოვალეობას.

გვინდა მოკლედ შევეხოთ ჩვენს ქვეყანაში ტრადიციული მარნების მშენებლობის საკითხს. გადაუჭარბებელი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კახეთში ტრადიციული მარნები უკვე ყოველი ფეხის ნაბიჯზე შენდება. გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ ამ გარემოებას ხელი არ შეეშალა, ალბათ 10 წელიწადში ნამდვილი ღვინის ქვეყანა ვიქნებით. ამის ხელშემშლელი პირობები კი მრავლადაა, რომელთა მიზეზი კი ჩვენსავე თავში უნდა ვეძებოთ. ამ ეტაპზე დიდ პრობლემას წარმოადგენს მცირე მემარნეების დარგობრივი ცოდნის დონე, რაც



ასერიგად, ის ნამდვილად დიდი შენაძენია.

კიდევ ერთი გამოცემა – ესაა ღვინის ეროვნული სააგენტოს ერმილე ნაკაშიძის ავტორობით გამოცემული ნიგნი „მევენახეობა-მელვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში“.

აისახება კიდევ ჩვენი ღვინის ხარისხზე. მეორე მხრივ თავად მარნების მშენებლობისა და სისწორის საკითხიცაა დასაფიქრებელი. ვერც ღვინის ტურიზმის მხრივ დავიკვივებით. არადა, ეს სფერო წესით უკვე ძალიან განვითარებული უნდა იყოს, მაგრამ საქმე სხვანაირადაა და ეს მნიშვნელოვანი საკითხი არასწორი მხრივ ვითარდება, ხოლო ქართული ღვინის ტურიზმი კი სულ სხვაგვარ მიდგომას მოითხოვს. მისასაღმებელია, რომ გასულ წელს მევენახეობის განაკუთრებულ ზონებს ახალი ადგილი შეემატა. ესაა მიკროზონა ხაშში, რომელი სოფელიც თავის მხრივ საფერავის ჯიშის ვაზს უკავშირდება. ამ მხრივ ჯერ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი, ხოლო უპირველეს ყოვლისა გამოსასწორებელია ის სამარცხვინო შეცდომები, რის დროსაც აქამდე არსებული მიკროზონები უაზროდ გაფართოვდა ქინძმარაულში, ზვანჭაკარაში და სხვა. ამ შემთხვევაში ეს საკითხი სპეციალურმა კომისიამ უნდა მოამზადოს და ფართო საზოგადოებას მიანდოს განსახილველად. ორი კაცისა თუ ქალის გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის, თუ რამხელა და როგორი იქნება ესა თუ ის ძველი თუ ახალი მიკროზონა.

მელვინეობის სფეროში ჩატარებულ შიდა თუ უცხოეთის გამოფენა-დეგუსტაციებს უკვე სათვალავი აღარა აქვს. ჩვენში კი ძალზე მნიშვნელოვანია ახალი ღვინის ფესტივალი, ექსპო-ჯორჯიას გამოფენა, ფესტივალი ამერ-იმერი, ქართული ღვინის კვირეული და სხვა.

დიდ პრობლემას წარმოადგენს ჩვენი ტრადიციული ჭაჭის საკითხიც, რაც უპირველესად კანონმა უნდა დაარეგულიროს. ამ სასმელის


წარმოებას ჩვენი დახმარება ესაჭიროება. ჯერჯერობით მალაზიებში წარმოდგენილი ჭაჭა ეწოდება ღვინის ქარხნებში ლექების მონაწიურის, ან დაავადებული ღვინისგან გამოსხილ სითხეს, რაც უმეტესად მუხის ბურბუშელის ნახარშითაა გაზავებული და მუხის კასრებში დაძველებულად კი სალდება. მისახედია ამ სასმელის აქციზირების საკითხიც. „არყის ბაჟის“ საკითხს თავის დროზე წმ. ილია მართალიც შეეხო, თუმცა პრობლემა პრობლემადვე რჩება და ჯერ ჩვენ იმაზეც ვერ შევჯერდით, თუ რა უნდა ერქვას ღვინის ქარხნების ზემოთხსენებული ტექნოლოგიით გამოხილ სასმელსა და რა სახელს უნდა ატარებდეს სრული წესების დაცვით გამოხდილი ჭაჭა. ზოგადად ქართულ კანონში ვაზისა და ღვინის შესახებ არაერთი ცვლილებაა შესატანი და იმედს გამოვთქვამთ, რომ ახლო მომავალში საქართველოს მთავრობა საკითხისთვის გამოძებნის დროს.

გასულ წელს კინოთეატრ ამირანში გაიმართა ჩვენება ფილმისა „ნულოვანი მერიდიანი“ (რეჟისორი ნანა ჯორჯაძე). ფილმი გადაღებულია საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტის ბატონი შალვა ხეცურიანის მიერ. ქართულ ვაზზე და ღვინოზე ამ ხარისხის ფილმი აქამდე არ მოგვეპოვებოდა. მნიშვნელოვანია, რომ ფილმმა უცხოეთის არაერთ კინოფესტივალში მიიღო მონაწილეობა და საკმაო წარმატებებიც მოიპოვა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მოსახლეობის ინიციატივა ძველი ქართული ვაზის ჯიშების გაშენების შესახებ. ტენდენცია ჯერხნობით ქართლსა და კახეთში აღინიშნება, თუმცა ამ ეტაპზე პროცესს ექსპერი-

მენტული ხასიათი აქვს და საერთო საქმე წელა ვითარდება. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს ბიო და ნატურალური მევენახეობა-მელვინეობის მიმართულების განსაკუთრებული ნინსვლა. ამ მხრივ უკვე არაერთი სპეციალური ღონისძიებაც ჩატარდა. მაგალითად, ნატურალური ღვინის ფესტივალი „ამერ-იმერი“, ასევე „ნული კომპრომატი“, ე.წ. „ზერო“ და სხვა. ეს გარემოება ხაზს უსვამს იმას, რომ საზოგადოება ამისათვის მზადაა და განსხვავებით ინდუსტრიული მელვინეობისა, უფრო ფართოდ ჩაერთო ამ მიმართულებაში. ბოლო პერიოდში ბიო და ნატურალური მელვინეობის მიმართულება ერთიორად გაიზარდა, რაც მისასაღმებელია. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის მევენახეობა-მელვინეობის სფეროებისათვის პრიორიტეტი არის ბიო-მიმართულება, რისთვისაც დღევანდელი საზოგადოება ნამდვილად მზადაა.

ამგვარად ჩაიარა 2018 წელმა ჩვენს ქვეყანაში. ამ შემთხვევაში ყველაზე ნათელ წერტილად მაინც გამოცემები უნდა ჩაითვალოს, რომელთა მეშვეობით ქართული ლიტერატურა ნამდვილად გამდიდრდა. ჩვენ დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ტენდენცია გარდა ლიტერატურისა სხვა სფეროებსაც გადაედება. მევენახეობა-მელვინეობის დარგი ჯერჯერობით მაინც შეჭირვებულ დღეშია და საჭიროებს ჩვენს გვერდში დგომას. გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ბატონებს ლევან ფრუიძესა და თამაზ კობაიძეს მათი განსაკუთრებული ღვაწლისათვის. ასევე ჩვენს უცხოელ კოლეგებს, რომლებიც მოღვაწეობენ ბიო და ნატურალური მელვინეობის სფეროებში და ჩვენც დიდად გვიდგანან გვერდში. იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული ტრადიციული მევენახეობა-მელვინეობა განვითარდება და თავის ღირსეულ ადგილზე დადგება. იგივე იმედს გამოვთქვამთ ღვინის ტურიზმის სფეროზეც. უპირველესად კი რეფორმებს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ ითხოვს, თუმცა მეორე საკითხია მისი რეალობაში გატარება, რადგან კანონი ჩვენ უკვე გასული საუკუნიდან მოგვეპოვება.


**გიორგი პარისაშვილი**  
მცხეთა, 2018 წ.





# საქართველოს შველა მკვინახეობა-მეღვინეობის მკლავრი ინდუსტრის შექმნაშია

სალხზე მზრუნველმა ჩვენმა მთავრობამ იანვრის თვიდან ქალაქში შეიყვანა „ღაბროვებითი საპენსიო ფონდის“ მოქმედება და დააანონსა, რომ ამ ფულს ჩამოვი გამოვივალ ფასიან ქალაქებში ჩავდებ და 30-40 წლის შემდეგ პენსიად დაგიბრუნებთო. სალხმა ეს ვერ გაიგო, რადგან ქალაქადი თუ ფასიანია, რაღაც დივიდენდი უნდა მოჰქონდეს, გამოდის, რომ ეს ქალაქადი ჩვენთვის ფასიანია, მთავრობისთვის კი უფასო? უბედურება მართო ამაში არ არის, რადგან სალხს ეჭვი აქვს, რომ ამ პენსიას ფასების გააქირავებით ისევ სალხს გადაახდებინებენ, რადგან ფული მოგებასთან საქმეში არ იღება. თუ გვინდა საპენსიო ფონდში ააშუშულირება ფული გაზრდილი პენსიის სახით დავიბრუნოთ უნდა ვაიძულოთ მთავრობა, ამ ფულით ასეთი ინვესტიცია განახორციელოს:



უფალმა ყველა ხალხს თავისი საცხოვრებელი ტერიტორია განუსაზღვრა და ეს ტერიტორია იმ საშუალებებით აავსო რითაც ამ ხალხმა თავი უნდა გაიტანოს. მართალია უფალმა ქართველები ნიაღისეულით მდიდარ მინაზე არ დაგვასახლა, მაგრამ ეს დროებითი, ამონურვადი სიმდიდრეა, ჩვენ კი უკვდავი ღირებულება დავგანათლა მევენახეობის, მექვევრეობის და ქვევრის მეღვინეობის სახით, რომელიც გონიერი წინამძღოლის ხელში განუსაზღვრელად დიდი პოტენციის მქონე დარგია და დღეის მდგომარეობით სრულიად განუვითარებელ-აუთვისებელია, როგორც ქვეყნის შიგნით ისე, მის ფარგლებს გარეთ. ყველაფერთან ერთად, ამ დარგის წარმოებითი პოტენციალი, უკვდავია და რაც დრო გადის სულ უფრო მოთხოვნადი ხდება მთელ მსოფლიოში და ფასიც სათანადოდ იზრდება. ანუ მუხის კასრში დაყენებით ფალსიფიცირებული ღვინის წარმოება, შესაცვლელია და ღვინის ბუნებრივ ჭურჭელში, ქვევრში დაყენების რელსებზეა გადასაყვანი, რომლის სრული პროგრამით განხორციელება, მხოლოდ ჩვენ, ქართველებს შეგვიძლია, როგორც საკუთარ ქვეყანაში ისე, მის ფარგლებს გარეთ.

დღეის მდგომარეობით ქვეყნის შრომის უნარიანი მოსახლეობის 90%-ზე მეტი, დაუსაქმებელია (კაცი, რომელიც თავისი ხელფასით ოჯახის მოთხოვნილებების მინიმუმს ვერ იკმაყოფილებს დასაქმებულად არ ითვლება), ამ დროს კი გვაქვს ისეთი ბაზისი, როგორც ქვევრისა და ქვევრის მეღვინეობის მსოფლიო მეღვი-

ნეობაში დამკვიდრების პროგრამაა, რომლითაც შეგვიძლია საუკუნეების განმავლობაში ქვეყანა, ასიათასობით მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილითაც უზრუნველვყოთ და მილიარდებიც გამოვიმუშაოთ. სანუხაროდ ჩვენს ხელისუფლებას, უფლის ამ საჩუქარისათვის დღემდე, გონიერი მეურნის თვალთაც კი არ შეუხედავს.

იმისათვის, რომ ქვევრი, როგორც ღვინის ბუნებრივი ჭურჭელი, მსოფლიო მეღვინეობისათვის ბუნებრივი ღვინის წარმოების ერთადერთი ჭურჭელი გახდეს, ხოლო ქვევრში ღვინის დაყენება კი მეღვინეობის ძირითად მიმართულებად იქცეს საერთაშორისო სტრუქტურებმა ყველა პირობა შეგვიქმნა და თავისი წილი საქმე დიდი ხანია გააკეთა. კერძოდ: „იუნესკომ“ ჩვენი წინაპრის მიერ აშენებული ქვევრი და მასში დაყენებული ღვინო, „კატობრიობის არა მატერიალური კულტურის ძეგლად“ აღიარა, ხოლო მსოფლიო ღვინის ასოციაციამ ქვევრის ღვინო, ცალკე კატეგორიად სცნო. გერმანელმა კერამიკოსებმა კი ჩვენი თიხები წაიღეს, გამოიკვლის და შედეგები და რეკომენდაციები მოგვართვეს. დასავლეთის და მსოფლიოს ენთუზიასტმა მეღვინეებმა ბოლო 20 წლის განმავლობაში, საქართველოდან ათასობით ქვევრი გაიტანეს და რეკლამას უკეთებენ ქვევრში ღვინის წარმოებას. არ გვძინავს ქართველ ენთუზიასტებსაც: დავაპროექტეთ და დავაპატენტეთ უმაღლესი ხარისხის ქვევრის ასაშენებელი მექანიკური დანადგარი და შექმნილი გვაქვს ათზე მეტი ახალი სახის დანადგარი,

რომლითაც ქვევრში ღვინის დაყენებისა და მოვლის დროს მეღვინეს შრომას შეუმსუბუქებს, ამასთანავე, ამ იარაღებს დამზადება უნდა და ფული ღირს (ეს ცალკე სამუშაო ადგილი და შემოსავალია). ანუ ყველაფერი გამზადებულია იმისათვის, რომ ქვევრი და ქვევრში ღვინის დაყენება, მსოფლიო მეღვინეობაში დანერგოთ, ასიათასობით მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი შევქმნათ და მილიარდები გამოვიმუშაოთ. სრული ბედნიერებისთვის დარჩა ერთი ნაბიჯის გადადგმა, ანუ ამ ყველაფრის მსოფლიო მეღვინეობაში დანერგვა, მაგრამ ასეთი გრანდიოზული საქმის გაკეთება, მთავრობის ნების გარეშე არსად არ ხდება. სამუხაროდ, მთავრობა, დღემდე ვერ თუ არ აცნობიერებს შექმნილ ვითარებას და ქვეყნის დამღუპველი ტურიზმისა და დამჭაობებელ ჰიდროენერგეტიკის განვითარებაზე ოცნებობს.

მართალია, ამ ყველაფერს ბიზნესი უნდა აკეთებდეს, მაგრამ ბიზნესმა ეს, რომ გაგიკეთოს ეს ბიზნესი და საბაზრო ურთიერთობები ქვეყანაში, კარგად უნდა გქონდეს განვითარებული. თუ არა ხელისუფლებამ ვინ, უნდა დაანახოს ბიზნესს, რომ დარგის განვითარების სურვილი აქვს და ხელს კი არ შეგიშლის, არამედ, დაგეხმარება, ისე, როგორც ეხმარება და აფინანსებს არაფრის მომცემი და



ქვეყნის გონებრივად მადეგრადირებული დარგის, ტურიზმის განვითარებას (ქვეყანაში სადაც ტურიზმის სეზონი 5-6 თვე მაინც არ გრძელდება დამლუპველია ტურიზმის ბიზნესისათვის და ქვეყნისათვის, ჩვენს კურორტებზე კი სეზონი 3 თვემდე ძლივს აღწევს, ასევე, როცა ტურიზმი ეკონომიკაში 15% ზე მეტია, ქვეყნის გონებრივი პოტენციალი, დეგენერაციას განიცდის, რაც ეტყობა კიდევ ჩვენს განათლების სისტემას). ვინ უნდა გაკვალოს გზა და ვინ უნდა ჩაუტაროს მეცნიერული კვლევა-რეკლამირება ქვევრს და ქვევრის ღვინოს, ევროპელებმა?

დღეის მდგომარეობით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ენთუზიასტმა მელვინემ რამდენიმე ათასი ქვევრი შეისყიდეს და გაიტანეს საქართველოდან. ჩვენდა სასირცხვილოდ ხალხს, რომლებიც ჩვენი პროდუქციის რეკლამირებას ცდილობს, ქვევრში ღვინის დაყენების მეთოდი და მოვლის წესებიც კი არ გავატანეთ, არ გავატანეთ, იმიტომ, რომ დანერვილ-დამტკიცებული სახით ჩვენც არ გვაქვს და თავი მევენახეობა-მელვინეობის სამშობლოდ მოგვაქვს. ალბათ, დიდი სირცხვილია, რომ დღემდე კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობად ნოდებულ ქართულ ტრადიციულ ღვინოს დაყენების მეთოდი არ აქვს. ასევე, არ გვაქვს დანერვილ-დამტკიცებული ქვევრის სტანდარტი. ესეც ევროპელებმა უნდა გაგვიკეთონ?

ქართული ქვევრი, დასავლეთს იმიტომ მოსწონს, რომ მასში მაღალი ხარისხის ბუნებრივი ღვინო, 2-3-ჯერ

იაფად შეიძლება დააყენო, ვიდრე, ღვინის თანამედროვე ჭურჭელში, ხოლო დასაძველებლად ღვინო, მუდმივ დაბალ ტემპერატურაზე წლობით უფასოდ, რომ შეიძლება შეინახო, ამიტომ სათანადო რეკლამის შემდეგ ამ ბაზარზე მილიონობით ცალი, ქვევრის მოთხოვნა გაჩნდება. ამ მოთხოვნაზე წარმოდგენა, რომ გვქონდეს გავაკეთოთ ასეთი ანალიზი: ყოველწლიურად მსოფლიოში ღვინოდ საშუალოდ 60 მილიონი ტონა ყურძნის წვენი გადამუშავდება, აქედან 1 %-იც, რომ დავადულოთ, დავავარგოთ და დავაძველოთ ქვევრში, ერთი მილიონი ცალი 2-3 ტონიანი ქვევრია საჭირო. ხედავთ რა მასშტაბებთან გვაქვს სამე? 1%-იანი მოთხოვნა კი ენთუზიასტთა დონეა, სამრეწველო დონეზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას კი საუკუნეები დასჭირდება.

ტელეინტერვიუში ქვეყნის ხელისუფალმა ბატონმა ბიძინამ განაცხადა: მარისხუნას ბიზნესი 400-500%-იან მოგებას ტოვებსო. ბატონო ბიძინა, ერთი სამტონიანი ქვევრის აშენებას 500 კგ. თიხა და 200-ამდე კუბი ბუნებრივი აირი სჭირდება, ფასი კი 6-7 ათას ევროზე მეტი იქნება (იმედია პროცენტის გამოყვანა არ გაგიჭირდებათ), ამასთანავე, ქვევრის წარმოება, უფლის სამსახურია, მარისხუნას მოყვანა კი ეშმაკის. აქვს კი ხვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანას უფლება, ეშმაკს ემსახუროს და ხვთის რჩეული ხალხი მარისხუნით დაწამლოს?

დღეს საქართველოდან ექსპორტზე გატანილი ბოთლი ღვინის თვითლი-

რებულებაში ღვინოს დაახლოებით 20% უჭირავს, დანარჩენი ბოთლის, საცობის და ფურნიტურის ღირებულებაა, აქედან საქართველო, მხოლოდ ღვინოს აწარმოებს, დანარჩენი ყველაფერი ევროპიდან შემოგვაქვს, ანუ ჩვენი მელვინეობიდან ძირითადი შემოსავალი ევროპელებს მიაქვთ. ამიტომ, რომ ევროპის ქვეყნები მელვინეობის ინდუსტრიიდან მილიარდებს იღებენ, ჩვენ კი დარგი, დღემდე დოტაციაზე გვყავს, ამაზე მეტი უგნურება და უყაირათობა ალბათ წარმოუდგენელია. არადა გვაქვს პოტენციალი ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი შემოსავალი გვქონდეს და ასიათასობით მაღალ-ანაზღაურებადი სამუშაო ადგილი შევქმნათ, ამისათვის კი საჭიროა მევენახეობა-მელვინეობის კარგად განვითარებული ინდუსტრია შევქმნათ თავისი ზედნაშენით, ანუ ყველა წვრლმანი თვითონ ვანარმოოთ. ვნახოთ, რაა ამისთვის საჭირო:

უნდა შეიქმნას „დაგროვებითი საპენსიო ფონდი“-ს (თუ ასეთი არ გვექნა ბიუჯეტიდან), საინვესტიციო სახელმწიფო კორპორაცია, რომლის მიზანი ქვევრის და ქვევრში ღვინის დაყენების მსოფლიო მელვინეობაში დამკვიდრება იქნება. კორპორაციამ უახლოეს 8-10 წლის განმავლობაში ამ დარგის განვითარებაში 1-1,5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს, ანუ ის ფული, რომელიც „დაგროვებით საპენსიო ფონდში“ შემოვა ამ დარგის განვითარებაში უნდა ჩაიდოს, ანუ ამ თანხით უნდა აშენდეს ყველა ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც დარგს, საქართველოში წარმოებული ყველა მსხვილმან-წვრილმანით უზრუნველყოფს. ყველაფერ ამისთვის კი საჭიროა:

1. ქვეყანაში ვენახების საერთო ფართობი 100 ათას ჰექტარამდე მაინც უნდა გაიზარდოს.
2. ქვეყანაში უნდა აშენდეს ბოთლის საწარმო ისეთი სიმძლავრეები, რომლებიც ქვეყნის მელვინეობას უმაღლესი ხარისხის ტარით უზრუნველყოფენ, დაახლოებით 350-400 მილ. ბოთლი წელიწადში.
3. ქვეყანაში უნდა გავაშენოთ სულ მცირე 150 ჰექტარი კორპის საცობის ნედლეულის მომცემი მუხის პლანტაცია და კორპის საცობის საწარმო სიმძლავრეები.



4. უნდა აშენდეს „ტიბოგრაფია“, რომელიც დარგს ხარისხიანი „ეტიკეტით“ უზრუნველყოფს.

5. ქვეყანაში უნდა აშენდეს საწარმოო სიმძლავრეები წელიწადში საშუალოდ 50 ათასი ცალი დიდი ზომის ქვევრის საწარმოებლად და დაიზვეროს და გამოვლინდეს თიხების ახალი მარაგები.

6. დამატებით უნდა აშენდეს ქვევრის მარნები დაახლოებით 700 ათას ტონა ღვინოზე, ანუ ქვეყანამ ყოველწლიურად ექსპორტზე უნდა გაიტანოს საშუალოდ 400 მილიონი ბოთლი ქვევრის ღვინო.

7. მევენახეობა-მელვინეობაში შხამქიმიკატები და გოგირდი უნდა ჩანაცვლდეს ოზონ-აირით და ოზონირებული წყლით, ამიტომ უნდა აშენდეს ოზონოგენერატორების მწარმოებელი ქარხანა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ქვეყანამ ძირითადად ბიოღვინო და სხვა ბიოპროდუქტები აწარმოოს.

8. უნდა აშენდეს ბაზალტის ძაფის საწარმო სიმძლავრეები და დავამზადოთ ბიოთოკი და ბიობოძები მევენახეობისათვის და მით შევცვალოთ მეტალის მავთული და ბეტონის ბოძები. ამ პროდუქციას ექსპორტის დიდი პოტენციალი გააჩნია, რადგან ევროპამ ბეტონის ბოძებზე უარი თქვა.

9. უნდა გაიხსნას ევროპაში კარგად აპრობირებული „მევენახეობა-მელვინეობის კვლევის სამეწარმეო უნივერსიტეტი“ შესაბამისი ლაბორატორიებით და სამეცნიერო კვლევითი ცენტრებით. დანარჩენი მუშაობის დროს გამოჩნდება.

უნდა ვისარგებლოთ იმით, რომ ქართული ქვევრის ღვინო, მსოფლიო ქვევრის ღვინის წარმოების ეტალონი იქნება, ამიტომ ავტორთა ღვინო, ბევრიც გაიყიდება და ფასსაც კარგს გადაგვიხდის. კორპორაცია ყველაფერ ამას უნდა აკეთებდეს შვილობილი კერძო კომპანიებისა და მარნების მეშვეობით, ანუ უნდა ჩამოყალიბდეს მევენახეობა-მელვინეობის ნებაყოფლობით გაერთიანება, რომლის სათავეში სახელმწიფო კორპორაცია უნდა იდგეს და რომელიც იქნება, მხოლოდ დარგის პოლიტიკის განმსაზღვრელ-წარმმართველი და დამხმარე გაერთიანებაში შემავალი სუბიექტებისთვის. ყველაფერი ეს არ ნიშავს კორპორაციის გარეთ მდგომი ფირმების

მუშაობაში ხელის შეშლას, პირიქით, ჯანსაღი კონკურენცია, ხარისხის ზრდის გარანტი უნდა გახდეს. ასე მუშაობს მელვინეობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ანუ ქმნიან გაერთიანებებს.

ყველა აქ აღნიშნულის სისრულეში მოყვანა დამოკიდებულია ხარისხიანი ქვევრის წარმოებაზე, ანუ შეიძლება ითქვას დღემდე საქართველოში ხარისხიანი ქვევრი არ აშენებულა, რადგან შეშა, რომლითაც ქვევრი იწვეება არ იძლევა 800 გრადუსზე მეტ სითბოს, ჩვენს თიხებს კი როგორც გერმანელმა კერამიკოსებმა გვითხრეს სრული გამოწვისათვის 1100-1150 გრადუსი სჭირდება, ამ ტემპერატურას კი ბუნებრივ აირზე ან ელენერგიაზე მომუშავე ქურა ესაჭიროვება.

ყველა ზემოთ აღნიშნულის შესრულებას ესაჭიროვება უახლოეს 8-10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად დარგში დაახლოებით 150 მილიონი დოლარი ჩაიდოს (ეს თანხა გაცილებით ნაკლებია იმ თანხაზე, რაც დაუმსახურებელ პრემია-დანამატებზე ბიუჯეტიდან იხარჯება). გარდა „დაგროვებითი საპენსიო ფონდისა“ აქ შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსახლეობის შენატანები, ანუ მაგალითისათვის მექვევრეობა ან ბოთლის წარმოება, სააქციო საზოგადოების სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს, და ამ შენატანებით განვითარდეს.

მევენახეობა-მელვინეობის სიკეთე, მარტო ღვინის ტარის და ფურნიტურის წარმოებით არ შემოიფარგლება, მსოფლიოში ღვინოს 70-ზე მეტი ქვეყანა აწარმოებს და როცა ეს ქვეყნები ღვინის ქვევრში დაყენებას დაიწყებენ, ამ ქვეყნებში გაიზრდება საქარ-

თველოს ცნობადობა და მილიონობით ტურისტს მოუწდება იმ ქვეყნის ნახვა სადაც ქვევრ-ღვინის წარმოების აკვანი დაიწინა, ანუ განვითარდება ღვინის ტურიზმი. არის სხვა საინტერესო პროექტებიც, რომლებიც ადვილსარეალიზაცია და კაპიტალიზაციის დიდი პოტენციალი, რომ გააჩნიათ, მთავარია, ხელისუფლებამ მოინდომოს.

კომუნიტებს ჰქონდათ ხუთწლიანი გეგმები, რომლითაც ხალხი ვიგებდით, რა გვექნებოდა ხუთი წლის შემდეგ და უმეტესი პროექტები სრულდებოდა კიდევ. ანუ ვიცოდით, რას და როდის ვაკეთებდით და საით მივდიოდით, დღეს კი თვალდახუჭული ერთ ადგილზე დავბორიალებთ (ერთ ადგილზე იმიტომ, რომ უკან წასასვლელი მეტი გზა, აღარ დარჩა). არის ასეთი ფრთიანი გამოთქმა „თუ არ იცი საით მიდიხარ, არც ერთი ქარი შენთვის ზურგქარი არ იქნებაო“. სამწუხაროდ, ამ სიბრძნის ქვეყნებში საკუთარი გამოცდილებით ვრწმუნდებით ქართველები.

პატივცემულო ხელისუფლებაც, როცა დასაქმებულს და მის დამსაქმებელს ეცოდინება, რომ მისი ფული, ქვეყნის აღმშენებლობაში იდება, ასეთ საქმეში 2 %-ს კი არა 10-საც არ დაინანებს, ხოლო ის ხალხი, რომლებიც დღეს საკუთარ დანაზოგს საეჭვო რეპუტაციის ბანკებში დებენ, ასეთ საქმეში სიამოვნებით ჩადებენ.

**შურა ბაბრინიძე,**  
სტუ ბიოლოგიურად აქტიურ  
ნივთიერებათა კვლევით  
სამეცნიერო ცენტრის სწავლული  
მდივანი







# ვაზის საყრდენი სისტემები

ვაზის საყრდენი სისტემა წარმოადგენს მწკრივში 5-7 მეტრის დაშორებით, ნიადაგში 50 სმ სიღრმეზე ჩასობილ, 5სმ დიამეტრის ან 5x5 განიკვეთის მქონე 28. სიგრძის ზოქებს, ზოქებზე სამ რიგად დამაბრაველი კავეებით, რომელზეც განლაგებულია ვამ დიამეტრის მავთულები, მათზე მიმაგრებული ვაზით. (კავეები დამაბრაველია ზოქების იმ ზედაპირზე რომელიც მწკრის პარალელურია). მცენარეზე მოსული ყველა სახის დატვირთვა (მთვენების წონა, ქარი) მავთულების მიშვივებით გადაეცემა ზოქებს კავეების დამაბრავის ადგილებზე.

საყრდენი სისტემის დანიშნულებაა მავთულებზე მიმაგრებულ ვაზს, ნიადაგში მყარად ჩასობილი ბოძებისა და კავეების მეშვეობით, შეუნარჩუნოს ვერტიკალური მდებარეობა, ქარისა თუ სხვა დატვირთვის პირობებში. კიდურა ბოძებზე ხისტად დამაგრებული და რიგით ბოძების კავეებზე განლაგებული მავთულის ფუნქცია არ არის მხოლოდ მცენარის დაჭერა, იგი იმავდროულად მონაწილეობს ვენახის საყრდენი სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფაშიც. აღნიშნულისათვის კი აუცილებელი პირობაა:

- 1) ბოძების (კავეების) ერთ ხაზზე განლაგება და კავეებზე განთავსებული მავთულების დაჭიმულობის შენარჩუნება – რთველის დამთავრებამდე.
- 2) კიდურა ბოძების მდგრადობა.

ზემოაღნიშნული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შპალერზე მოსული ქარით და მტევნების წონით გამოწვეული დატვირთვა შეიძლება არ გადაეცეს ყველა ბოძს ერთდროულად და თანაბრად. აღნიშნულის შედეგად კი შესაძლებელია ნიადაგის არაერთგვაროვნების გა-

მო რომელიმე ნაკლებად მდგრადმა ბოძმა დაძლიოს მავთულის წინააღმდეგობა და გადაიხაროს მწკრივის მართობულად. აღნიშნულის შედეგად კიდურა ბოძებს შორის მავთული დაგრძელდება. მაგალითად 100მ. სიგრძის მწკრივის შემთხვევაში, ბოძის წვერის 30 სმ-ით გადახრის დროს, მავთული გრძელდება 1,8 სმ-ით ანუ 0,018%, რაც იმდენად უმნიშვნელოა მწკრივის სიგრძესთან შედარებით, რომ ნებისმიერი მცირე დატვირთვა საკმარისია ასეთი შედეგის მისაღებად ნიადაგის, ბოძის და მავთულის დეფორმაციების ხარჯზე. (1,8 სმ-ით გრძელდება ბოძის წვერობზე განთავსებული მავთული, ხოლო ქვედა მავთულები შესაბამისად 0,8 და 0.18 სმ-ით. იხ. ნახაზი 1.) სწორედ ამან განაპირობა ბოლო პერიოდში საყრდენი სისტემების აღიჭურვა მავთულების დამჭიმის მონეობილობებით. თუმცა დამჭიმის მოქმედი კონსტრუქციაც ვერ უზრუნველყოფს მავთულების დაჭიმვას საჭირო ხანგრძლივობით. მავთულის გაჭიმვა შეიძლება გარკვეულ ზღვარამდე, მავთულისა და კიდურა ბოძების სიმტკიცის პირობების გათვალისწინებით. (უკეთეს შედეგს მივიღებდით ალბათ მავთულების და-

ჭიმულობის შესანარჩუნებლად, თუმის ერთ მხარეს სიმძიმეებს ჩამოკიდებდით).

მწკრივის სიგრძე 100-150მ და უფრო მეტიცაა, 100მ სიგრძის მწკრივში სამ რიგად გაჭიმულ მავთულებზე მოდის ყურძნის მტევნების დაახლოებით 200 კგ. წონით და ქარით გამოწვეული დატვირთვები. (ჰექტარზე-50 მწკრივი საშუალოდ 10 ტონა მოსავალი) მწკრივის სიგრძის ზრდასთან ერთად შესაბამისად მავთულობს ჯამური დატვირთები მავთულებსა და ბოძებზე. მავთულების დაჭიმვის მოქმედი მეთოდების გამოყენებისას შპალერზე ქარით გამოწვეული დინამიური დატვირთვის პირობებში დროთა განმავლობაში ხდება კიდურა ბოძებს შორის გაჭიმული მავთულების დაგრძელება, რის გამოც რთველის წინა პერიოდში ყურძნის მტევნების სიმძიმის ძალით მავთულები ჩაიღუნება ვერტიკალურ სიბრტყეში, ხოლო შპალერზე ქარის მოქმედებით მავთულები იღუნებიან ჰორიზონტალურ სიბრტყეში. იკარგება მავთულების სწორხაზოვნება, ამ დროს შესაძლოა შპალერზე ქარით გამოწვეული დატვირთვა მავთულების მეშვეობით ერთ ან რამდენიმე ბოძს გადაეცეს და გამოიწვიოს მისი, (მათი) გადახრა. ბოძების გადახრა გრძელდება მავთულების ხელახლა დაჭიმვამდე, რის შემდეგაც აღდგება საყრდენი სისტემის მდგრადობა, დეფორმირებული შპალერით. (რთველის დროს ზვარში ხშირად შეხვდებით მსგავს სურათს) აღნიშნულის გამო ყოველწლიურად გაზაფხულზე აუცილებელი ხდება




ბოძების ვერტიკალურ მდგომარეობაში მოყვანა, მათი გასწორება და მავთულების ხელახლა დაჭიმვა. ეს კი ნიშნავს რომ მოქმედი საყდენი სისტემის კონსტრუქცია არ არის სრულყოფილი, იგი ვერ იძლევა მდგრადობის მყარ გარანტიას.

მდგომარეობა მნიშვნელოვნად იცვლება თუ კიდურა ბოძების ნაცვლად მავთულებით დავაკავშირებთ ერთმანეთთან მეზობელ ბოძებს. (n-1)-ჯერ (n მწკრივში ბოძების რაოდენობაა) მცირდება მტევნების წონით და ქარით გამოწვეული მავთულებზე მოსული დატვირთვის სიდიდე, კერძოდ 100 მეტრიან მწკრივის შემთხვევაში იგი 20-ჯერ მცირდება ანუ ბოძებს შორის გაჭიმულ 3 მავთულზე 10კგ. მტევნების წონა მოდის, ამდენჯერვე მცირდება ქარით გამოწვეული დატვირთვა-შესაბამისად მცირდება საყრდენ სისტემაში დატვირთებისაგან გამოწვეული დეფორმაციები.


შესაძლებელი ხდება 3მმ-ანის ნაცვლად გამოვიყენოთ 1.5-2მმ დიამეტრის მავთულები, რომელთა გაჭიმვა 5-7 მეტრზე ხელითაც შესაძლებელია და რაც მთავარია მნიშვნელოვნად იზრდება საყრდენი სისტემის მდგრადობა, რადგან ბოძების გადახრას ზღუდავს არა მარტო საკუთრივ ბოძის მდგრადობა ნიადაგში, არამედ მეზობელ ბოძებთან დამაკავშირებელი 5მეტრის სიგრძის მავთულების დაჭიმულობაც, (სუფთა გაჭიმვის დეფორმაცია) და დატვირთვა თანაბრად ნაწილდება ბოძებსა და მავთულებზე.

ისინი ერთობლივად უზრუნველყოფენ სისტემის მდგრადობას, მაშინ როდესაც მოქმედ სისტემაში ბოძის გადახრა იზღუდება 100მ სიგრძის მავთულების დაჭიმულობით და სისტემის მდგრადობა ძირითადად განისაზღვრება ბოძების მდგრადობით. შემოთავაზებულ ვარიანტში მდგრადობის უზრუნველსაყოფად მავთულების ფუნქცია მნიშვნელოვნად იზრდება.

საყრდენი სისტემის მონაცემების ამ ვარიანტში კიდურა ბოძებზე მოსული დატვირთვებიც მცირდება, თუმცა მისი მდგრადობის უზრუნველყოფა აუცილებელია, რისთვისაც ცნობილი მეთოდების გარდა შეიძლება ბოძის მიწისქვეშა ნაწილზე მწკრივის მართობულ ზედაპირზე ხისტად მი-



ნახ. 1




ნახ. 2

ვამაგროთ ლითონის ან პოლიეთილენის ფურცელი ზომით სიგრძე 50სმ. სიგანე 10-12სმ ნიადაგის კატეგორიის გათვალისწინებით (ჟურნალი „მეცნიერება და კულტურა“ 2013წ. 11 სტატია „სიახლე ვაზის ჭიგოსთან დაკავშირებით“).

საყრდენი სისტემის კონსტრუქცია კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება თუ საქართველოს პატენტის უ1988 მოთხოვნის შესაბამისად კავებს დავამაგრებთ ბოძების სიმეტრიის ღერძზე მწკრივის მართობულ ზედაპირებზე და მავთულებით დავაკავშირებთ მეზობელ ბოძებთან. შეიცვლება მტევნების სიმძიმისაგან ბოძებზე მოსული დატვირთვის ხასიათი, ღუნვის ნაცვლად ამ ძალების მოქმედებით ბოძები იმუშავებენ კუმშვაზე, რაც ზრდის მათ მდგრადობას და აუმჯობესებს მუშაობის პირობებს, მთლიანობაში კი განაპირობებს საყრდენი სისტემის ხანმდეგობის ზრდას. მავთულის დაჭიმულობა მეტნაკლებად ერთნაირი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქარის დატვირთვა შეიძლება მოვიდეს ერთ მავთულზე და განყვიტოს იგი. (იხ.ნახაზი2) შესაძლებელი ხდება გაიზარდოს ბოძებს შორის მანძილები, შემცირდეს მათი რაოდენობა მწკრივში. ამასთან უნდა აღინიშნოს რომ საყრ-

დენი სისტემის მონტაჟის სამუშაოები გარკვეულად ძვირდება, თუმცა იგი კომპენსირდება 3მმ-ანი და 1,5-2მმ-ანი მავთულების ფასთა სხვაობით. აგრეთვე საგაზაფხულო სამუშაოთა მოცულობის შემცირებით. კავებიც იცვლის ფორმას (იხ.ნახაზი 3.) შემოთავაზებული კონსტრუქციის საყრდენი სისტემის ბოძების მათ შორის მანძილის და მავთულების განიკვეთის ზომების კორექტირება უნდა მოხდეს ბუნებრივ პირობებში ზვარში მათი გამოცდის შედეგების მიხედვით.

ზაზრ კაბრაზა



ნახ. 3

# პენსიაზე გასვლას დანატრებული გლეხია თანამედროვე საქართველოს აგრარული პოლიტიკის სახე



ახლა სოფლის ამბებს მოგიყვებით, რა ხდება აქ, როგორ ცხოვრობს და რით სულდგმულობს კონტრაქტი. ნახირის მინდვრად გაყვანა წლეულს, გასულ წელთან შედარებით, ადრე დაიწყო. ამიტომ სოფელთან ერთად მეც ექვს საათზე ვიღვიძებ. ექვსი ეს ჩემთვის არის სისხამი დილა, თორემ ზოგი უფრო ადრეც ებმება შრომის ფერხულში. რვა საათზე საქონელი უკვე მეც გამზადებული მყავს გასამზავებად, მწყემსებიც ჩამოივლიან ჭიშკართან და ჩემი ძროხებიც უერთდებიან „კოლექტივს“. ნადიმი საღამოს ექვს საათამდე გრძელდება, საიდანაც მიწის სიმცირის გამო გასესინგატიკინებულები ვერა, მაგრამ არც მთლად დანაყრებულები კი გვიბრუნდებიან შინ. დილით, საქონელი რომ თვალს მოეფარება, მეზობლები „სოფლის მარკეტის“ მოლოდინში ვიკრიბებით ე.წ. ბირჟაზე.

მარკეტი ისე ვთქვი, თორე სინამდვილეში რა არის იცით? მანქანით მოაქვთ პური, ფუნთუშა და ქალაქის (ამ შემთხვევაში ხონის) ცხელ-ცხელი ამბები. ლოდინის დროს ზოგი პოლიტიკაზე კამათობს – ესენი უკეთესები არიან, არა ისინი ჯობდნენო; ქალები სერიოზულების დაიჯესტს აკეთებენ: – გაიგე გოგო? ის დედა კი არა მამა ყოფილაო; ზოგიც კიდევ ძველ სასიამოვნო ამბებს იხსენებს, ბევრჯერ

ჩემს გოლო გლოგს იმდენი თბილი და კოლბიალური გამოგაშრება მოჰყვება, არ შემიძლია წერა ვაღლიერების ბარეში დავიწყო. ეს კალიან ბავრს ნიშნავს ჩემთვის. ჩემგაზრდად შევიცდები, თქვენი მონოლოგიური ცოდნა ბავიზიარო და ამ მცხოვრებ გლეხებს საჰმით დავანახო. ვიცი, რომ მოსმენილს ნანახი ურჩავნიათ.

რომ გაქვს მოსმენილი და მაინც გელიმება. ამასობაში „მობილური მარკეტიც“ მოდის და საუბრის თემაც ქალაქიდან მოსული ამბების შესაბამისად გრძელდება, ოღონდ ამჯერად ცხელი პურის ყუით პირში. ამ ამბებს „დასაყოლებელს“ ეძახიან ხუმრობით.

ამ ჯერზე საუბარი სოფლის ხელშეწყობის პროგრამებს შეეხო. სამსუხაროდ მაინდამაინც კარგი დასაყოლებელი ვერ გამოდგა ეს თემა. ყველას ტონს უკმაყოფილება, ხელჩაქნეულობა და უნდობლობა შეერია და საუბარი თითქმის ერთხმად წარმოთქმული სამ სიტყვიანი კომენტარით დასრულდა. სახლში მიბრუნებულს, მეზობელმა სიცილით მომაძახა, – ამ ქალაქელ კაცს მაინც რა მოგარბენინებდა აქ, უბრალო სამსახური გეპოვნა, ახლა რომ დაქცეულ სოფელში ვინმე ჩამოვა საცხოვრებლად... გავუღიმე, მაგრამ პასუხი არ გამიცია.

სახლში რომ შევედი, საშინელმა ბრაზმა დამრია ხელი. თან ახალი ნაკითხული მქონდა „რეზონანის“ ინტერნეტ სტატია, სადაც სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები ეწერა – 22 წელიწადში რაჭა მთლიანად გაუკაცრიელდება, 39 წელიწადში კი – იმერეთი და გურიაო. როგორ შეიძლება ამაზე მობილიზაციას არ აკეთებდეს სახელმწიფო, არ იქმნებოდეს გეგმები, როგორ გადავარჩინოთ სოფელი, როგორ დავაკავოთ ახალგაზრდები თავიანთ საცხოვრებელ ადგილას ელემენტარული საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების შექმნით?! სოფელში ცხოვრების მოსურნე ახალგაზრდებიც უმცირესობაში ვართ, ორიენტაციაც შებრუნებული გვაქვს – სოფლისკენ და არა სოფლიდან. მუდმივად უმცირესობის და ორიენტაციაშებრუნებულების თემებს განიხილავს მასმედია

და ტელევიზიები, იქნებ ოჯახური მეურნეობების ასეთი ფორმულირებით მაინც დაინტერესდნენ. მართლა გაუსაძლისია ამდენი მოჩვენებითი პროგრამები, არასამთავრობების მიერ ზარ-ზეიმით შექმნილი რაღაცურულაციები, რომელიც შარშანდელი თოვლივით ქრება და მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენას და ა.შ. ემსახურება. ჩემი აზრით, პენსიაში გასვლას დანატრებული გლეხია თანამედროვე საქართველოს აგრარული პოლიტიკის სახე.

„უსაქმური ბლოგი“ რომ არ გამოვიდეს, ჩემს დასრულებულ ექსპერიმენტზეც გიამბობთ ორიოდ სიტყვით. ყველას გექნებათ ნანახი სააღდგომო სუფრაზე ჯეჯილში ჩანცობილი ნითელი კვერცხები. ჰოდა, დამაინტერესა როგორ შემეძლო დიდი რაოდენობით მსგავსი რამის გახარება სახლის პირობებში. თავდაპირველად გამყიდველს დავეკითხე, მითხრა ბამბაში თესლს ჩაყრი, ეგაა და ეგო.

ვიფიქრე, რატომ არ შეიძლება ჩემი ღორები მუდმივად მწვანე ბალახით გავანებივრო-მეთქი. ძალიან მომეწონა იდეა. ჩავთვალე, რომ ბამბის დაფენა ზარმაცი კაცის მოფიქრებულია, ზედმეტი მორწყვა რომ თავიდან აიცილოს. მერე agronews.ge-ზე სტატია ვნახე (ლინკი <http://agronews.ge/7-dgheshi-martsvleulida-parkosani-kulturebisgan-sakvebitmtsvane-masis-utsqhveti-tsarmoebis-technologie>), რამაც კიდევ უფრო ნამახალისა და მორიგი ექსპერიმენტის ხასიათზე დამაყენა. სახელდახლოდ შევჭედე სამთარიოიანი „სტელაჟი“, სადაც ჯეჯილის მოსაწვემა ფართობმა მხოლოდ 2.55 კვადრეტი შეადგინა. დავთესე 5 კილოგრამი ქერი, არც მორწყვა დამიკლია და არც მზის სინათლე. 9-10 დღის შემდეგ 23 კილოგრამი მწვანე მასა ავიღე. ძალიან



**გამიხარდა რომ გამომივიდა.**

ჩემი გათვლებით 10 ასეთი სტელა-ჟი დამჭირდება ჩემი ღორების გამო-საკვებად. რაც შეეხება ახლანდელ დანახარჯებს, ღორებზე დღიური კვების რაციონი შეადგენს 25 კილოგრამ სიმინდს. ფასი 17 ლარი. 5 კილოგრამი ქერი – 3.5 ლარი. ვფიქრობ, რომ

ეს მეთოდი ძალიან მომგებიანი იქნება არა სიმინდის ჩასანაცვლებლად, არამედ მრავალფეროვნებისთვის.

აი, ის რაც ამ ჯერზე მინდოდა მეთქვა. თქვენც მომიყევით თქვენი გამოცდილების შესახებ, მე სურვილი მაქვს მეტი ვისწავლო მეურნეობის უკეთ მართვის შესახებ. უამრავი

კარგი ცოდნაა დაგროვილი ხალხში, რომელიც უსათუოდ გამოსაყენებელია. ჩვენ მაინც ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში და გავუზიაროთ საჭირო გამოცდილება.

მომავალ შეხვედრამდე.

*ირაკლი სოსხაძე*

# ასეთი საბანკო და აბრარული პოლიტიკით სოფელს კი არა, ქვეყანასაც მიატოვებ კაცი!

კიდევ ერთმა პროექტმა ჩაუშროლა იმერეთის. ვგულისხმობ „ქაომონის ინტერნეიშნალის“ საბრანტო კონსტრუქციის სასაბუნო ნაწარმის განვითარების შესახებ. უკვე მერამდენე პროექტი იმერეთის ბარეში რითი აიხსნება რამიონის აბგვარი იმპორტირება, წარმოდგენს არ მამუს!

კიდე, მოვისმინე ფერმერთა რეესტრი დგება და იმ ფერმერებს გააერთიანებს პირველ ეტაპზე, რომელთაც რაიმე სახის სახელმწიფო დახმარება აქვთ მიღებული. სახელმწიფო დახმარებას ნეტა როგორ მოიპოვებენ, რა საინტერესოა. ჩემ შემთხვევაში, არც იაფი კრედიტი მომცეს, დამწყები ხარო; არც 5 ათას ლარიანი გრანტი, საღორე პრიორიტეტული არ არისო (მენარმეების პროექტზე ვამბობ, მცირე გრანტი თუ რაღაც ამდაგვარი იყო), თანადაფინანსებებში მე ვერ ვერთვები, ძალიან დაბალ თანხას აფინანსებენ და ახლა არც ფერმერთა რეესტრიო, უკვე წყენაც უადგილოდ მიმაჩნია, რაღაც ახალი ტიპის რეაქცია ჩამომიყალიბდა ასეთ შემთხვევებზე, მოკლედ არ ვიცი, რა დავარქვა და ვრცლად კი, მიახლოებით, ასე იქნება – „ნეტა ოდესმე ვინმეს გონება თუ გაუნათდება და ნამდვილად საკეთებელ საქმეს დაიწყებს სოფლად.“

ამათ კი დავაფინსდით, (დაშორება) თუმცა ერთი საინტერესო ამბავი მაინც მოხდა ჩვენთან, რასაც ირინა ფხოველიშვილს უნდა ვუმაღლოდეთ. სემინარი რომელიც ფერმერ ქალთა ასოციაციამ ნატოს სასწავლო ცენტრთან ერთად მოაწყო, საინტერესო იყო, ვისაუბრეთ, ერთმანეთს გულისტკივილი გავუზიარეთ. ვიმსჯელებთ ჩემ მარადიულ სურვილზე – აგრობანკზე, სოფლად დამკვიდრებულ სიღუბნეზე, დაგროვილ და გადაუჭ-

რელ პრობლემებზე... ერთი სიტყვით, შეკრებაზე უფრო ფართო მასშტაბები მიიღო ჩემს გულში გავლილმა ფიქრებმა. ხშირად რომ ხდებოდა რაღაც ამდაგვარი, უფრო მასშტაბურად, იქნებ ჩვენ თვითონაც მოგვეხერხებინა პრობლემის კონსტატირება და განზოგადებული სახით ადრესატისთვის წარდგენა გადაჭრის გზებთან ერთად. მაგლობა ქალბატონ ირინე ფხოველიშვილს, რომ ასეთი შეკრების შესაძლებლობა მოგვცა და კიდევ, ერთი მაგლობა იმისთვის, რომ დაბადების დღეს ჰქონდა იმ დღეს და ჩვენთან ერთად გაატარა, პრობლემებზე საუბარში.

მინდა აგრობანკის შესახებ თქვენთან ერთად ვიმსჯელოთ. იგი სოფლის პრობლემების გადანყევტის ერთ-ერთ გამოსავლად მიმაჩნია. სწორედ ეს იქნება ქმედითი და აზრიანი დახმარება ჩვენთვის და არა ისედაც გაზულუქებული ბანკებისთვის აგროსესხის გაცემის უფლება და მათთვის პროცენტების ჩარიცხვა. უბრალოდ დღევანდელი რეალობა ვნახოთ ამ სექტორში. ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების 2017



წლის მეოთხე კვარტლის ფინანსური მაჩვენებელი გამოაქვეყნა. 5 ყველაზე მომგებიანი ბანკების მოგება 776 863 329 ლარი შეადგინა. ნახეთ ალბათ სტატია [https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fbn.ge%2Ffinansebi%2F42216-top-5-yvelaze-momgebiani-bankisaqarthveloshi.html%3Flang%3Dka-GE&h=AT3-cDiaCF\\_KI9gp\\_F6xEAnz55lwHOGNWgEH0NkDfYb-DKJtl\\_o2oGjojtmiH17yuUw1mer-JF0VtUzsCRLIVbrCi6HfJrWoiml\\_sgt-PeUW8avjGmacwsZX6ZKUv4rs5A3Vw90Wg](https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fbn.ge%2Ffinansebi%2F42216-top-5-yvelaze-momgebiani-bankisaqarthveloshi.html%3Flang%3Dka-GE&h=AT3-cDiaCF_KI9gp_F6xEAnz55lwHOGNWgEH0NkDfYb-DKJtl_o2oGjojtmiH17yuUw1mer-JF0VtUzsCRLIVbrCi6HfJrWoiml_sgt-PeUW8avjGmacwsZX6ZKUv4rs5A3Vw90Wg), რომელიც ბანკის მესვეურთა 5-6 მილიონი წლიური ხელფასის შესახებ რომ გვამცნობდა. ჟარგონზე რომ ვთქვა რა „აბიომი“ აქვს საქართველოს მოსახლეობას ისეთი, რომ ამდენ მოგებაზე გადიან ბანკები? ეს ყველფაა და არა მართ-



ვა! თავდაპირველად სესხი რომ ავიღე, მითხრეს 21 პროცენტია. მე არ ვიცი კომპიუტერის რომელი პროგრამით სარგებლობენ და რა სახით ითვლიან, მე რომ დავიანგარიშე ეს სესხი 33-იანი აღმოჩნდა. უცებ ცხოველთა საკვებისთვის დამჭირდა სესხის აღება, ვიფიქრე ხელს მოვიწვავო და 1500 ლარიანი სწრაფი სესხი ავიღე ზემოხსენებული 5 მომგებიანი ბანკებს შორის ერთ-ერთისგან. ზუსტად არ მახსოვს რამდენი იყო წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, თუმცა თვეში მხოლოდ პროცენტში 75 ლარს მართმევდნენ. ეს ოფიციალური რეკეტი არ არის?!

ზოგადად, მეურნე კაცს ხან სად გამოიჩნდება ფულის საჭიროება და ხან სად, მიუხედავად სესხის კეთილსინდისიერად გადახდისა, ზემოთ აღნიშნული დიდი ბანკები დამატებით სესხს აღარ გაძლევენ. ჰოდა, დაჭირვების შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი ონლაინ სესხია (ღმერთმა დამიფაროს!).

ეს საშინელებათა ფილმის უფრო დაძაბული სერიაა. მაგალითად, ასეთი:

- სესხის ვადა განისაზღვრება 12 თვით;
- თანხა – 1000 ლარი;
- საკომისიო – 210,11 ლარი;
- ხელშეკრულების საფასური – 150 ლარი;
- ჯამი – 1360,11 ლარი;
- წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – 96,97%.

(დავაკოპირე, ბანკის სახელს არ დავასახელებ, ისედაც კოლექტიური ონლაინ ბანკი არსებობს ჩემთვის)

როგორ მოგწონთ? ეს ახლა ეკონომიკის ხელშეწყობაა თუ დაქცევა?!

მართლა აკვიატებული მაქვს სოფელში ცხოვრება და 2 ოჯახი მესმარება ამ საქმეში, თორემ ამ უბედური აგრარული და საბანკო პოლიტიკის გამოისობით, სოფელს კი არა ქვეყანასაც მიატოვებს კაცი!

ევროპის ქვეყნებში, რომელთაც „ჩვენსავით“ სოფლის მეურნეობა ქვეყნის სტრატეგიულ დარგად მიაჩნია, საოჯახო მეურნეობების განვითარება მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმაში უდევთ. საოჯახო მეურნეობებზე ცალკე ხელშეწყობის პროგრამები არსებობს და ახალგაზრდა მეურნეებზე ცალკე. ამჯერად ლუქსემბურგის მაგალითზე ვწერ, სადაც ახალგაზრდამ ოღონდ სოფელში შრომა მოისურვოს და თავდაპირველი მოწყობისთვის სასტარტო თანხას ჩუქნიან, მერე სხვადასხვა სახის ყოველწლიურ დახმარებას ამატებენ, დაგეგმარებაში ეხმარებიან; კანონი განსაზღვრავს: როგორ უნდა მოახდინოს თვითმმართველობამ სოფლის მეურნეობის რისკების მართვა, შემუშავებული აქვს სტიქიურ მოვლენებთან მიახლოებული უამინდობის



შემთხვევაში მიყენებული ზარალის ანაზღაურების სქემები; ინვესტიციებით დახმარება სტიქიური მოვლენების დროს, დახმარებები ცხოველთა და მცენარეთა ავადმყოფობის აღმოფხვრის მიზნით; დახმარება მეცხოველეობაში და ცხოველთა და ლუპვის შემთხვევაში და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ასეთი! ჩვენთან კიდევ, განმარტებულიც არ არის, სამართლებრივად რას ნიშნავს საოჯახო მეურნეობა. სოფელში ძირითადად ხომ საოჯახო მეურნეობებია. თუ მათი ხელშეწყობის პროგრამა არ შედგება, მხოლოდ ცალკეული ფიზიკურ

პირებზე კენკროვან კულტურებზე გაცემული დახმარება გადაარჩენს სოფელს?! რა ვიცი, რა ვიცი....

სოფლის ამბებსაც მოგიყვებით ცოტას. ბალახებზე ისევ ვმუშაობ, ნინა ბლოგში რომ გიყვებოდით. ახლა სტარტაპში შევიტანე განაცხადი, ძალიან მინდა რომ დამიფინანსონ. ეს არამარტო ჩემს ფერმას გამოკვებას, ცოტას გავეყიდი და ჩემნაირი პრობლემების მქონე მოსახლეობას ვახეირობ კიდევ. ვნახოთ რა იქნება. 3 ივლისს შევიტანე განაცხადება, ჯერ არავინ დამკავშირებია, მაგრამ 2-3 კვირად და ველოდები...

ახლა კიდევ ახალი იდეა მომივიდა თავში. ჩემს მეზობლად ცხოვრობს ერთი ძალიან კარგი, მშრომელი და გულთბილი ზაური ბიძია. კაცი უკვე 70 წლისაა და სულ კომუნისტების დროს მისტირის, სოფელი როცა „დულდა და გადადულდა“. 2 შვილი ჰყავს – ქალიშვილი გათხოვილია და ვაჟ ცოლ-შვილიანი. უსაშველოდ რომ გაჭირდა სოფლად ცხოვრება, ცოლი უცხოეთში წავიდა სამუშაოდ, ბიჭი თბილისში გადავიდა. ზის ახლა ჯან-ლონით სავსე ზაური მარტო სახლში და „პეტერ-პეტერე“ ყველაფერს ზრდის თუ მათი გამოკვება რალაცნაირად მოახერხა, ყველაფერი შვილიშვილებისთვის უნდა, მაგრამ როგორც უნდა, ისე არ არის. ზაფხულში, მათი სტუმრობისას ძალიან ითრგუნება. თუ ისე ვერ ასიამოვნა პატარებს, როგორც მათ გაუხარდებათ, მთელი წელი ჯავრობს მერე ამაზე. იმდენი ვიფიქრე ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში რისი გაკეთება შეიძლება ზაურთან ერთად, ჰოდა, მოვიფიქრე. თბილისში, სტუდენტობისას, ბიჭებმა კალმასხა სოკოს მოყვანა გადაწყვიტეთ და მშვენივრადც გამოგვივიდა. ზაურის სოკოს გასამრავლებლად იდეალური ქვიტკირის სარდაფი აქვს. ჰოდა, აუცილებლად უნდა ჩავაბა ამ საქმეში, იქნებ სიცოცხლის და ცხოვრების ხალისი დაუბრუნდეს.

ოჰ, ცოტა მოვიოხე თქვენთან საუბრით გული! თითქოს ყველაფერი გითხარით, რაც ამ ჯერზე მინდოდა. ძალიან მინდა თქვენც მომწეროთ თუ გიფიქრიათ თქვენც ამ თემებზე.

მომავალ შეხვედრამდე!

*ირაკლი სოხაძე,  
ახალგაზრდა ფერმერი*



# საქართველოს სოფლის მეურნეობის მცენიერებათა აკადემიის საქმიანობის სრულყოფის პროგრამა 2018-2022 წლებში



2018 წლის 23 მარტს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მცენიერებათა აკადემიის საერთო კრება, სადაც აკადემიის წევრებმა აკადემიის პრაზიციდენტად მიიჩიე ვადით ერთსხად აირჩია აკადემიოსი გურამ ალექსიძე.

2018 წლის 22-23 ნოემბერს იტალიის ქალაქ ფლორენციაში გაინერალური ასამბლეა, სადაც ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ზუნებათსარგებლოების აკადემიების კავშირის ვიცე-პრაზიციდენტად არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მცენიერებათა აკადემიის პრაზიციდენტი, აკადემიოსი, გიოლოგიის მცენიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ალექსიძე.

2018 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მცენიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების მიერ აკად. გ. ალექსიძე არჩეულია აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიოსად.

ქვემოთ აკად. გურამ ალექსიძე გთავაზობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მცენიერებათა აკადემიის საქმიანობის სრულყოფის პროგრამას 2018-2022 წლებში.

ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მცენიერებათა აკადემიის ძირითადი ფუნქცია აგრარულ სფეროში არსებული სამეცნიერო – კვლევითი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის სწორი ორგანიზება, საგრანტო თემების შესწავლა და მათი ექსპერტიზა, აკადემიის, როგორც აგრარულ საკითხებში მთავრობის მრჩეველის როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

აკადემიის მუშაობის ძირითადი მიმართულება არის და მომავალშიც იქნება მემცენარეობაში, მეცხოველეობაში და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიების დამუშავება და მათი წარმოებაში გამოყენების ხელშეწყობა. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული აკადემიის ყველა წევრის ძალისხმევა.

წარსული ხუთი წლის განმავლობაში აკადემიაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა: გაძლიერდა კოორდინაცია კვლევით ორგანიზაციებს შორის; დამყარდა საინტერესო ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა უცხოეთის კვლევით ორგანიზაციებთან; ჩატარდა თანამედროვე აქტუალურ პრობლემებზე საერთაშორისო კონფერენციები; დამუშავდა და გამოქვეყნდა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების გზები; დაიბეჭდა და გავრცელდა რეკომენ-

დაციები ფერმერთა დასახმარებლად სოფლის მეურნეობის განვითარების აქტუალურ საკითხებზე; ყოველწლიურად ტარდება კონკურსები აგრარულ დარგში საუკეთესო მეცნიერის, ასევე საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომის გამოსავლენად. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ აკადემია თანდათან იკავებს იმ ნიშას, რაც მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია.

მიუხედავად საქმიანობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ ბევრი აქტუალური საკითხია გადასაწყვეტი.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო ორგანიზაციული საკითხები:

1. აკადემია უნდა გახდეს ქვეყანაში აგრარული კვლევის ძლიერი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. მის სისტემაში უნდა ფუნქციონირებდეს კვლევითი ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ასევე აგრარულ და ტექნიკურ უნივერსიტეტებში მიმდინარეობს მუშაობა თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებების დამუშავებაზე, მათ აქვთ შესაბამისი მალალი დაფინანსება, ჩვენი აზრით აკადემიის სისტემაში უნდა ჩამოყალიბდეს: აგროტექნოლოგიის, აგროსაინჟინრო, მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების, პროდუქტთა გადამამუშავების და შენახვის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები. ასეთი სისტემა წარმატებით მუშაობს ჩინეთში,

სამხრეთ კორეაში, რუმინეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, უნგრეთში, რუსეთში და სხვაგან. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ორგანიზაციული ფორმის შექმნა აუცილებელია, შესაბამისი დასაბუთებული მოსაზრებები წარედგინება საქართველოს მთავრობას. ცხადია, რომ ფუნდამენტური კვლევების გარეშე არ განვითარდება, ისეთი სამეცნიერო მიმართულებები, როგორცაა: აგრობიოტექნოლოგია, მცენარეთა და ცხოველთა სელექცია, მავნებელ – დაავადებათა გავრცელების პროგნოზირება, ბიოსისტემების მოდელირება, აგრობიომრავალფეროვნება და სხვა, მათ გარეშე რამდენიმე წელიწადში აღარ გვექნება იმის საშუალება, რომ ვანარმოოთ კვლევები თანამედროვე დონეზე, და, რაც მთავარია, აღარ გვეყოლება შესაბამისად მომზადებული ახალგაზრდა მეცნიერები. აქ რასაკვირველია საჭიროა მთავრობის ჩარევა და მათ მიერ მიზანმიმართული დაფინანსება. ჩვენ ამ საკითხებს დავაყენებთ.

2. აკადემიაში აუცილებელია შეიქმნას „ახალი ტექნოლოგიების დანერგვის“ განყოფილება, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიის წევრების მიერ დამუშავებული ღონისძიებების, რეკომენდაციების ფერმერულ მეურნეობებში გამოყენებას. სქემა, ჩვენი აზრით, ასეთი იქნება: სამეცნიერო განყოფილების თანამშრომლები, აკადემიის პრეზიდენტის მიერ შერჩეულ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებს ათანხმებენ ფერმერებთან, სადაც მათივე ხელმძღვანელობით ხდება ამ ახალი ღონისძიებების

გამოცდა. წლის ბოლოს შეჯამდება მიღებული შედეგები, შესაბამისად, შემუშავდება დანერგვის ღონისძიებანი. ასეთი მიდგომებით მივალწვეთ მეცნიერებისა და წარმოების (ფერმერების) დაახლოებას, რითაც შემდგომში ახალი ღონისძიებების გავრცელებას ანუ რეალურ დანერგვას განვახორციელებთ.

ჯერ კიდევ სრულად არაა გამოყენებული ახალ ტექნოლოგიებზე ინფორმაციის გავრცელების ისეთი მნიშვნელოვანი ფორმა, როგორცაა ტელევიზია – „საფერავი ტვ“. ახლებურად უნდა შევხედოთ ამ საკითხს და სოფლის მოსახლეობას დროულად

3. უნდა გავაძლიეროთ ახლად შექმნილი „ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი“-ს საქმიანობა. რეალურად აკადემიაში უკვე შექმნილია სათანადო პირობები (ინფრასტრუქტურა). დამუშავებულია სასწავლო პროგრამა, შერჩეულია მაღალკვალიფიციური პედაგოგები. ეს კურსები მომავალში თვითდაფინანსებაზე იმუშავებს. პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ არ გვაქვს პედაგოგების ანაზღაურების თანხები. ეს საკითხი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უნდა გადავწყვიტოთ.

მიმართულებას საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, აქაც გვაქვს გარკვეული წარმატებები, თუნდაც შ. რუსთაველის ფონდით დაფინანსებული უკანასკნელი 5 საერთაშორისო კონფერენციაა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბოლო კონფერენცია – „მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში-ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები“, სადაც კარგად გამოჩნდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ერთობლივი კვლევების მნიშვნელობა, რამაც ერთხელ კიდევ დადასტურა ქართული ვაზის ისტორიული მნიშვნელობა. ახლო მომავალში ვფიქრობთ კონფერენციის ჩატარებას თემაზე: „საქართველო, როგორც კულტურული ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი კერა“ და „აზიური ფაროსანა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ტყის ჯიშების მნიშვნელოვანი პრობლემა“, მოწვეული იქნებიან სპეციალისტები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

განსაზღვრული გვაქვს ჩავატაროთ სემინარი მევენახეობისა და მეღვინეობის საკითხებზე ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად. ამ საკითხზე მუშაობა დაწყებულია და ვიმედოვნებთ, რომ მიმდინარე წელს ჩავატაროთ.

მნიშვნელოვანია ის, რომ აკადემია ჩართულია საერთაშორისო პროექტებში, კერძოდ, აჭარის მთიანეთის (ხულო, ქედა) განვითარების მიმართულებით. უკვე დაწყებულია მუშაობა ევროკავშირის პროექტებში მონაწილეობისათვის, რაშიც აკადემიის წევრები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ შესაბამისი ანაზღაურებით. პროექტი მრავალწლიანია და აგრარული სფეროს მრავალ დარგს მოიცავს.

6. ცალკე მინდა გამოვყო აგრარული კვლევის სფეროში კოორდინაციის სრულყოფის საკითხი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული აკადემიაში. გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები საქართველოს თითქმის ყველა უნივერსიტეტთან და სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ მეცნიერებებში თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თუმცა, ჩვენი აზრით, საჭიროა მისი შემდგომი სრულყოფა. კერძოდ, ვფიქრობთ ჩავატაროთ პარტნიორთა ასამბლეა, სადაც ზემოთ აღნიშნული ყველა ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას და წარმოადგენს თავის კვლევებს და ხედვებს ამ მიმართულებით. მოკლე ანოტაციები გამოქ-



(პერიოდების მიხედვით) მივანოდოთ ის პროგრესული ღონისძიებები, რაც აკადემიაში ან სხვა მომიჯნავე ორგანიზაციებშია დამუშავებული. ამის კარგი მაგალითი უნდა გახდეს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების გადაცემათა ციკლი, რომლის პერიოდულობა რეალური სიტუაციების შესაბამისად უნდა განისაზღვროს. ვფიქრობ ეს ფუნქცია ახლად შექმნილმა „ახალი ტექნოლოგიების დანერგვის“ განყოფილებამ უნდა შეასრულოს.

ასევე ამ განყოფილებამ უნდა ითავოს – „მავნებელ – დაავადებათა დიაგნოსტიკისა“ და „წინადაგის ნაყოფიერების შესწავლის“ ფუნქციაც. ეს ორივე საკითხი ძალზედ აქტუალურია დღევანდელ პირობებში. ამისათვის განყოფილება უნდა აღიჭურვოს სპეციალური აპარატურით და შეივსოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოებას სჭირდება ასეთი ინფორმაციები. ვფიქრობთ, განყოფილება შემდგომში უნდა მუშაობდეს თვითდაფინანსების პრინციპით.

4. აუცილებლად მიგვაჩნია აკადემიაში შეიქმნას სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭო, რომელიც სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით შეარჩევს სადისერტაციო საბჭოებს აგრონომიაში, ეკონომიკაში, აგროინჟინერიაში, მეცხოველეობაში და კვების მრეწველობაში. ვფიქრობთ, რომ ასეთი საბჭოების მუშაობა აკადემიაში კიდევ უფრო გაზრდის აკადემიის ავტორიტეტს და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეს, რაშიც ამ ბოლო ხანს საკმაოდ დიდი ჩამორჩენა გვაქვს.

თუ მეცნიერების შესახებ ახალი კანონი ჩვენც გვეხებოდა, რატომ არ უნდა დავსვათ საკითხი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე, რათა აკადემიას მიეცეს დაფინანსება სტიპენდიანტების მოსაზიდად, რაც ახალგაზრდა კადრებით აკადემიის შემდგომი შევსების წყარო გახდება.

5. თანამედროვე ინფორმაციის მიღების და მისი შემდგომი გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი



ვეყნდება ბროშურის სახით. ასეთი შეხვედრები შეიძლება ჩატარდეს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ. შესაძლებელია თითოეული ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით შეიქმნას პარტნიორთა საბჭოც, რომელიც უხელმძღვანელებს ასეთი ღონისძიებების ჩატარებას. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ თუ რა მიმართულებით მუშაობს ესა თუ ის დაწესებულება და მოვახდინოთ საკითხების რეალური კოორდინაცია.



7. უნდა დაინიშნოს აქტიური მუშაობა რეგიონების სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების საკითხებზე. ამ მიმართულებით აკადემიას გარკვეული გამოცდილება აქვს. ამის თაობაზე ჩვენ გვქონდა კონსულტაციები აკად. ნოდარ ჭითანავასთან და აკად. ომარ ქეშელაშვილთან, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ ამ საკითხებში. დღეს ჩვენ უკეთესი სიტუაცია გვაქვს. აკადემიაში გვყავს რეგიონების წარმომადგენლები და მათი მონაწილეობით უნდა გადაწყდეს ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. თითოეულმა რეგიონმა უნდა იცოდეს თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა, რა კულტურებს უნდა მიექცეს ყურადღება, სად და როგორ უნდა განვითარდეს გადამამუშავებელი საწარმოები. ამ საკითხებზე არის გარკვეული დაინტერესებაც პარლამენტის წევრების მხრივაც. საჭირო იქნება ჩვენი კონტაქტები რეგიონების ხელმძღვანელებთან და მათთან ურთიერთსასარგებლო ხელშეკრულებების გაფორმება.

8. უნდა გავაგრძელოთ ფუნდამენტური და გამოყენებითი მნიშვნელობის ლიტერატურის მომზადება და გამოქვეყნება. გასულ წლებში გამოვეცით ორი წიგნი მევენახეობასა და მეხილეობაში. ვფიქრობთ გავაგრძელოთ ეს სამუშაოები და გამოვეცით წიგნები: მებოსტნეობაში, სუბტროპიკულ კულტურებში, მარცვლეულ კულტურებში და სხვა. ასევე, მისაღება აკად. ა. დიდებულის ნინადადება რათა აკადემიამ დაიწყოს მუშაობა და გამოსცეს წიგნი „სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია“. მითუმეტეს, რომ ჩვენ უკვე შევიძინეთ საბეჭდო და გამავრცელებელი ტექნიკა, რომელთა მეშვეობითაც დაიბეჭდა და გამოქვეყნდა 2017 წლის ჩვენი აკადემიის ანგარიში.

გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობს. ჩვენთვის ეს საკითხი აქტუალურია და მაქსიმალურად ვეცდებით, რომ აკადემიკოსების ჰონორარი გაიზარდოს, დაპირება ამის თაობაზე მუდმივად გვქონდა მთავრობის მხრივ, მაგრამ უშედეგოდ. ერთხელ კიდევ დავაყენებთ ამ საკითხს და ვეცდებით მივალწიოთ სასურველ შედეგს. მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების ანაზღაურების საკითხის გადამწყვეტაც.

9. კარგად ვიცით, რომ ჩვენი აკადემიკოსების ანაზღაურება კვლავაც არაადამაკმაყოფილებელია. მაშინ, როდესაც სხვადასხვა უწყებებში მიმდინარეობს ხელფასის მატება (სხვადასხვა ფორმით), მეცნიერების მდგომარეობის რეალურ

ვფიქრობთ, რომ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების (და სხვა მრავალი საკითხის, რომელიც წარმოიშვება მუშაობის პერიოდში), განხორციელება ხელს შეუწყობს აკადემიის საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, რაც საერთოდ ქვეყნის სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის ხელშემწყობ პირობებს შექმნის და დააჩქარებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პროცესს.

**პროფესიონალთა აზრით**

# სოფლის მეურნეობის სტაბილური და მდგრადი განვითარების პრიორიტეტული ღონისძიებები

**საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა ახალი რეალობებისა და გამოწვევების წინაშე დგას, რაც ეფუძნება უნიკალურ და სპირიტუალურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და რასაც განაპირობებს ახალი, პროგრესული, უნარჩინო ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა, აგრეთვე სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური ზრდის მოტივაცია.**

მავლობაში ქვეყანაში გატარებულმა აგრარულმა პოლიტიკამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგები, რასაც დაემატა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ნაჩქარევი და ხარვეზიანი ეტაპი. ამან დიდი დისპროპორციები შექმნა სოფლის მეურნეობაში და საგრძნობლად შეაფერხა მისი განვითარება.

ასეთი, ფუნდამენტური მოთხოვნების დაცვისა და რეალიზაციის გარეშე მომავლის სოფლის მეურნეობის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებზე მორგებული, მარკეტინგულად

გააზრებული მოდელი ვერ იქნება აგებული და მიუღწეველი დარჩება თანამედროვე წარმოების რაციონალური განვითარება. უკანასკნელი ათეული წლების გან-

მომავლის სოფლის მეურნეობა სრულიად ახლებურად უნდა იქნეს



გაგებულ-ახსნილი. იგი, პროგრამირებულ სოფლის მეურნეობად უნდა იქცეს და ამ პრინციპს უნდა მოერგოს როგორც მისი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ასევე მათ სარეალიზაციოდ გამიზნული კომპლექსური ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

ამისათვის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ უნდა განისაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები და მისი ცალკეული რგოლის მიხედვით შედგეს მათი დამუშავების პროგრამები, რომლის რეალიზაციაც უნდა მოხდეს ამ აკადემიის საერთო კოორდინაციითა და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფით.

ასეთ საკვლევ მიმართულებებად შეიძლება გამოიყოს შემდეგი კომპლექსური მიზნობრივი პროგრამები:

1. მინათმოქმედების პროდუქტიულობის ამაღლებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის ზონალურ-დიფერენცირებული ტექნოლოგიური პოტენციალის კომპლექსური სისტემისა და სტრატეგიულ-პრიორიტეტული რეკომენდაციების დამუშავება;

2. მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის ზონალურ-დიფერენცირებული ტექნოლოგიური პოტენციალის კომპლექსური სისტემისა და სტრატეგიულ-პრიორიტეტული რეკომენდაციების დამუშავება;

3. კვების მრეწველობის განვითარების ზონალურ-დიფერენცირებული ტექნოლოგიური პოტენციალის კომპლექსური სისტემისა და სტრატეგიულ-პრიორიტეტული რეკომენდაციების დამუშავება;

აღნიშნული მიზნობრივი პროგრამების დამუშავების შედეგებზე დაყრდნობით, ზემოთ მოხაზული, მომავალზე ორიენტირებული ამოცანის გადაჭრა ფართომასშტაბური და

კომპლექსური, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რაც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჩატარდეს მინის რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი, რაიონულ და სახარმთო დონეზე აღრიცხვა და დადგინდეს მათი მინათმოსარგებლეთა მიხედვით განაწილების მდგომარეობა. ეს არის საფუძველთა საფუძველი სოფლის მეურნეობის სწორი და გამართული განვითარებისათვის და ამ მიმართულებით დასახულ კომპლექსურ ღონისძიებათა გასატარებლად;

უნდა გადაიხინჯოს და მეცნიერულად განისაზღვროს სტრატეგიულად გააზრებული და მარკეტინგულ მოთხოვნებზე მორგებული სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები, მომავლისათვის მისაღები დარგობრივი სტრუქტურა (სპეციალიზაცია), სოფლის მეურნეობის სახარმთო სპეციალიზაციის ზონებისა და ცალკეული რაიონის მიხედვით. ამის შესაბამისად უნდა დადგინდეს დარგებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილებისა და შეთანაწყობის პროპორციები და მისაღები ვარიანტები (ფარგლები); გათვალისწინებული უნდა იქნეს სანაწვერალო და შუალედური კულტურების, ასევე ტრიტიკალეს მოვლა-მოყვანის, აგრეთვე ახალი კულტურების (კივის და სხვა, ასევე თხილის) გაშენების პერსპექტივები.

უნდა დამუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ოპტიმიზირებული პროგნოზი თვალსაწიერი და შორეული პერიოდისათვის, ზონალურ ჭრილში, რაც მეცნიერულ საფუძველად დაედება მისი თითოეული დარგის განვითარებას;

საგანგებოდ უნდა შემუშავდეს მემარცვლეობის, როგორც სასურსა-

თო უსაფრთხოების უზრუნველყოფი ძირითადი დარგის, სახელმწიფო პროგრამული რეკომენდაციები და პრიორიტეტულ-სტრატეგიული მიმართულებები, მისი მდგრადი და სტაბილური განვითარებისათვის. ამ სახელმწიფოებრივ პროგრამულ დოკუმენტს თან უნდა ახლდეს პასუხიმგებელი შემსრულებლების (უნყებების) ჩამონათვალი და სათანადო ფინანსური და სამართლებრივი უზრუნველყოფის გარანტიები;

უნდა შემუშავდეს პერსპექტიული (ადრე მაპროფილებელი) დარგის – მეჩაიეობის აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, მისი უზრუნველყოფის ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკური მექანიზმის ასახვით. ამის აუცილებლობა დასტურდება დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ნითელმინა, ყვითელმინა და ენერ-ტიპის ნიადაგებით, რომელიც დღეს არაეფექტურად არის გამოყენებული და მისი სამეურნეო პოტენციალის მაქსიმალური ათვისება მხოლოდ მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის ფართოდ განვითარებითაა შესაძლებელი;

ასეთივე სახელმწიფოებრივი პროგრამები უნდა დამუშავდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მაპრო-ფილებელი დარგების: მეხილეობისა და მევენახეობის, აგრეთვე საადრეო მებოსტნეობის, სასათბურე მებოსტნეობისა და საადრეო მეკარტოფილეობის მიხედვით, მათი კვების მრეწველობასთან ინტეგრირებული (შეთანაწყობილი) განვითარების გათვალისწინებით;

საგანგებო ყურადღებას მოითხოვს მეაბრეშუმეობა. ამ დარგს, საქართველოში, განვითარების დიდი ტრადიციები გააჩნია, თუმცა, უკვე რამდენიმე ათეული წელია არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამ მხრივ კი ფართო შესაძლებლობები არსებობს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც შესაძლებელია გაშენდეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგებული თუთის პლანტაციები. ეს აუცილებელს ხდის დამუშავდეს მეაბრეშუმეობის აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა. ამას საფუძველად უნდა დაედოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხაზით მომზადებული ფუნდამენტური ნაშრომი



მეაბრეშუმეობის განვი-თარებისა და აღდგენა-რეაბილიტაციის შესახებ;

თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში ქართული ფუტკრის ფენომენის აღიარებას, პერსპექტიულ და დიდი შესაძლებლობების დარგად ითვლება მეფუტკრეობა, რომელსაც გავრცელების საკმაოდ ფართო არეალი გააჩნია. ამის შესაბამისად, ასევე აუცილებელი ხდება მეფუტკრეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამის შემუშავება;

უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები სატბორე მეთევზეობის განვითარების შესახებ. საქართველოში ამ დარგის განვითარების დიდი შესაძლებლობები არსებობს, რასაც განაპირობებს ბუნებრივი ტბებისა და წყალსა-ცავების ფართო ქსელი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში არსებობს 860 ტბა;

თბილისის საგარეუბნო ზონაში და ქვეყნის მსხვილი რეგიონული ცენტრების (ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი და სხვა) სიახლოვეს, ეკონომიკურად და სტრატეგიულად გამართლებულია შეიქმნას მერძულ-მეხორცული ტიპის მესაქონლეობის სახელმწიფო კომბინატები და მეკვერცხულ-მეხორცული ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკები, სადაც განთავსდება ჯიშობრივი პირუტყვი (ფრინველი) და რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და უახლესი, ელექტიფიცირებული ტექნოლოგიებით. ასეთი კომბინატები (ფაბრიკები) ინტეგრირებული უნდა იყოს კვების მრეწველობასთან და იქ ერთიან ციკლში უნდა მოექცეს პროდუქციის წარმოება, გადამუშავება (მ.შ. ექსპრეს-გადამუშავება), შენახვა (მ.შ. სამაცივრო), რეა-ლიზაცია. მათ უნდა გააჩნდეთ საკვლევი სამსახური, სპეციალური (ქიმიურ-ტექნოლოგიური) ლაბორატორია, მონიტორინგისა და მარკეტინგული სამსახურები, საკუთარი საბაზრო სეგმენტები. ასეთი მიდგომის რეალიზაციას მომავლის სოფლის მეურნეობა მოითხოვს, რაც ამაღლებს სახელმწიფოს როლსა და ფუნქციას ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებაში;

პერსპექტიული მიდგომაა შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის „საკუთარი საგარეო“ ბაზრები. მისი ერთ-ერთი მიმართულება იქნება საზღვარგარეთის ქვეყ-

ნების საბაზრო სეგმენტებთან შესაძლო ინტეგრირება;

პერსპექტიული მიდგომაა შეიქმნას „სამეცნიერო-ტექნიკურ-ტექნოლოგიური“ ბანკი და ამის შესაბამისად სამეცნიერო კვლევის შედეგების (სამეცნიერო პროდუქციის) საზღვარგარეთ გატანა. ასეთი შეიძლება იყოს: ხორბლის, სიმინდის, ხეხილის, ვაზის და ა.შ. სელექციის მიღწევები; სხვადასხვა სახის პროდუქციის (ქვევრის ღვინის, აბრეშუმის, თაფლის, თუშური ცხვრის ყველის) დამზადების ტექნოლოგიები და ა.შ.; სამთო მინათმოქმედების სამეცნიერო საშუალებების მოდიფიკაციები და სხვა.

სოფლის მეურნეობის სტაბილური და მდგრადი განვითარებისათვის საჭირო პრიორიტეტულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში ცალკე უნდა გამოიყოს და ახალი მიდგომებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების საფუძველზე უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს:

- ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლების ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციები, მინერალური სასუქების რაციონალური გამოყენების შესაბამისი ნორმატიული ბაზის ასახვით. ეს საშუალები უნდა მოიცავდეს განახლებული აგროქიმიური კარტოგრაფების შედგენას;

- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნე ორგანიზმებთან და სარეველა მცენარეებთან ბრძოლის ზონალურ-დიფერენცირებული ინტეგრირებული რეკომენდაციები, შესაბამისი ნორმატიული ბაზის ასახვით;

- წყლის რესურსების მართვის (მელიორაციისა და ირიგაციის) ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციები, შესაბამისი ნორმატიული

ბაზის ასახვით;

- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ზონალურ-დიფერენცირებული, მაღალი სამანქანო ტექნოლოგიები, შესაბამისი კრიტერიუმებისა და ნორმატიული ბაზის ასახვით;

- მეცხოველეობის თითოეული დარგის მოვლა-შენახვის ზონალურ-დიფერენცირებული ზოოტექნიკური და ვეტერინარულ-ჰიგიენური რეკომენდაციები, შესაბამისი ნორმატიული ბაზის ასახვით;

- აგროტექსერვისის განვითარების პროგნოზირებული სისტემური მოდელი, ოპტიმიზირებული ორგანიზაცი-ული სტრუქტურისა და ზონალურ-დიფერენცირებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური სტრატეგიული რეკომენდაციები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კერძო და კოოპერირებული ტიპის მექანიზებული სტრუქტურების ფუნქციონირება;

- ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციები ჯიშთაგამოცდის, მეთესლეობის, სანერგე მეურნეობის, სანაშენე საქმის განვითარების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ;

- ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე სამაცივრო და შენახვი მეურნეობების განვითარებისა და რეკონსტრუქციის შესახებ.

უნდა აღდგეს თითოეული სასოფლო რაიონისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების

შედგენის პრაქტიკა, რომლებშიც ასახული იქნება: მიწის რესურსების არესებული ფონდი, დარგთა და





სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაადგილებისა და შეთანხმების დასაბუთებული ვარიანტები; პროდუქციის რეალური მოცულობები და მისი მიღწევის ტექნიკურ-ტექნოლოგიური რეკომენდაციები; სანარმოო-რესურსული პოტენციალის (მ.შ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულეების, ძირითადი სანარმოო ფონდების, მატერიალურ-ტექნიკური და შრომის რესურსების) გამოყენების რეკომენდაციები; კვების მრეწველობის პროპორციული და სოფლის მეურნეობასთან ინტეგრირებული განვითარების რეკომენდაციები; სანარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების რეკომენდაციები;

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დადგა დრო შედგეს საქართ-

რები ისე ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ სამუშაოების მთავარი ორიენტირი და მოტივაცია უნდა იყოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მიგრაციული პროცესების შერბილება და ეკონომიკური ზრდა. მთიანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დროული გადაწყვეტა მთელი საქართველოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, გლობალური ტიპის ამოცანაა.

სოფლის მეურნეობის სტაბილური და მდგრადი განვითარებისათვის საჭირო პრიორიტეტული ღონისძიებების დამუშავებისას შემამაჯამებელ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკური მექანიზმის განსაზღვრა, რამაც უნდა უზრუნველყოს ყველა დასახუ-

ფიკურ, თანამედროვე მოდელისა და მომავლის ხედვის პროგრესულ ფორმად ყალიბდება სოფლად აგროტურიზმის პროფილის ფორმირების შექმნა და მათი მორგებულ მენეჯმენტზე აგებული ფუნქციონირება.

აგროტურიზმის სფეროს სისტემური განვითარება უკვე დროის მოთხოვნა ხდება. იგი ხელს შეუწყობს იქ არსებული უნიკალური, ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსების რაციონალურ ათვისებას, მოსახლეობის დასაქმების პრობლემის მოგვარებას, სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მიგრაციული პროცესების შერბილებასა და სოფლის ეკონომიკური სიძლიერის განმტკიცებას.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარებას იმდენად დიდი პერსპექტივები გააჩნია, რომ იგი უეჭველად მოითხოვს მართვისა და რეგულირების თანამედროვე, მომავალზე ორიენტირებული ავტომატიზებული სისტემების შექმნას, შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებითა და მონაცემთა ბაზით.

საჭირო იქნება შედგეს აგროტურიზმის რეგიონული ატლასი, რაც მარკეტინგული მოტივაციების რეალიზაციისა და უზრუნველყოფის საფუძვლად იქნება მიჩნეული. ასეთი ატლასის შექმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთო სისტემაში უდავო სიახლეს წარმოადგენს.

ვფიქრობთ, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების დროული გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს საქართველოში აგრარული სექტორის მდგრად და სტაბილურ განვითარებას და ეკონომიკური ზრდის ფართო მასშტაბების მიღწევას.

**მურამ ალექსიძე**

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;*

**გივი ჯაფარიძე**

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი;*

**ოზარ თხუღავაძე**

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი*



ველოს სასურსათო უსაფრთხოების ზონა-ლურად დიფერენცირებული ეროვნული სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც ცალკე უნდა გამოიყოს თბილისის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა. ამ პროგრამას უნდა ახლდეს რეალიზაციის (უზრუნველყოფის) ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები.

გადაუდებელია ისეთი პრობლემის გადაწყვეტა როგორცაა მთიანი რაიონების განვითარების სტრატეგიული მიმართულებებისა და ღონისძიებების შემუშავება, რომელშიც აისახება მათი ბარის რაიონებთან შესაძლო ინტეგრაციის ღონისძიებები, ეკონომიკური ბერკეტების მორგებულ გამოყენებაზე დაყრდნობით. ამ პროგრამაში უნდა გამოიყოს პრიორიტეტული საკითხები და მათი გადაწყვეტის როგორც რისკ-ფაქტორ-

ლი ამოცანის რეალიზაცია. ეკონომიკური მექანიზმი, როგორც მართვის სამართავი სისტემა უნდა მოიცავდეს: ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, საფინანსო-საბანკო რეგულაციებს, ფასებსა და ფასნამოქმნას, გადასახადებსა და საგადასახადო დაბეგვრას, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, მენეჯმენტს (სხვადასხვა დონეზე). აქვე უნდა ჩავრთოთ მარკეტინგული სამსახურების შექმნის ორგანიზაცია და საშინაო და საგარეო საბაზრო სეგმენტების გამოყოფა, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის პროპორციების განსაზღვრა და მათი რეგულირების ღონისძიებები.

სოფლის მეურნეობასთან დამოკიდებულებით საჭირო ხდება თითოეული რაიონის მიხედვით დამუშავდეს აგროტურიზმის განვითარების პერსპექტიული რეკომენდაციები. სპეცი-



# ქართული კონიაკის ტიპის მაგარ ალკოჰოლური სასმელის მიღების ახალი ტექნოლოგია

ისტორიულად, საგაგლო წარმოების ყურძნის ტექნოლოგიური გადა-  
მოხვედრით ძირითადად მზადდება უალკოჰოლო (წვენი, კონცენტრატი),  
საშუალო ალკოჰოლური (ღვინოები) და მაგარ ალკოჰოლური (კონიაკი,  
არაყი) სასმელები.

სამთავე სახის სასმელი სარგებ-  
ლიანობის, კვებითი ღირებულებითა  
და მომხარების თვალსაზრისით მი-  
ეკუთვნებიან მრავალ საუკუნოვანი  
ცნობადი მაღალი მოთხოვნილების  
მქონე სასურსათო პროდუქტებს. ჩა-  
მონათვალი სასმელებიდან რენტა-  
ბელობის კუთხით განსაკუთრებით  
ყურადღებები ღვინის მაგარ ალკო-  
ჰოლური სასმელები, კერძოდ კონია-  
კის წარმოება. აღნიშნულთან დაკავ-  
შირებით ჩვენს მიერ პირველად მეღ-  
ვინეობაში დამუშავდა კონიაკის ტი-  
პის მაგარ ალკოჰოლური სასმელის  
მიღების ინოვაციური ტექნოლოგია.  
მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია  
მოკლე ინფორმაცია აღნიშნულ სა-  
კითხთან დაკავშირებული კვლევისა  
და მიღებული შედეგების შესახებ.

კვლევის მიზანი, ამოცანა და ობი-  
ექტი: მიზანს წარმოადგენს კონიაკის  
წარმოების ბაზაზე დამუშავდეს სა-  
კონიაკე ღვინო მასალის წარმოების  
ახალი რეგლამენტები, რომლებიც  
უზრუნველყოფს სამიზნე პროდუქ-  
ტის ხარისხობრივი და ბიოლოგიური  
თვისებების გაუმჯობესებას. ამოცა-  
ნაა ტექნოლოგიამ უზრუნველყოს სა-  
ბოლო პროდუქტის მაღალი რენტა-  
ბელობა, ამავე დროს ექნება მეცნიე-  
რული და პრაქტიკული ღირებულება.  
ობიექტს წარმოადგენს სხვადასხვა  
ჯიშის ყურძნიდან მიღებული საკონი-  
აკე ღვინო მასალა, ეთილის სპირტი,  
გამონხდილი წყალი (დისტილიატი),  
შაქარი და შაქრის კოლერი.

ექსპერიმენტის შედეგები: ქართუ-  
ლი კონიაკის მისაღებ ძირითად ინგ-  
რედიენტს წარმოადგენს საკონიაკე  
სპირტი, რომელიც მზადდება წისას-  
წარ შერჩეული საკონიაკე ვაზის ჯიშის  
ყურძნისაგან სქემით: ყურძნის ტექნო-  
ლოგიური გადამუშავება, ღვინო მასა-  
ლის მიღება, ღვინო მასალის გამოხ-  
და, გამონხდის პროცესში შუახანადს  
(62-70 გრადუსი) სპირტის გამოყოფა,  
გამონხადი სპირტის დავარგება მუ-  
ხის კასრებში. ახალი სქემით საკონი-  
აკე სპირტის მიღება ხდება ექსტრაქ-  
ციის მეთოდით, ნაცვლად გამონხდისა.  
წინსაწარმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ  
მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტი  
(62-70გრადუსი) შეუძლება მიღებული  
იქნას ღვინო მასალის ექსტრაქციით,

სადაც ექსტრაგენტად გამოყენებუ-  
ლია ეთილის 96%-იანი სპირტი. ლა-  
ბორატორიული ნიმუშების მისაღებად  
საკვლევად შერჩეული იქნა ორი სახის  
ღვინო მასალა – გორული მწვანე და  
საფერავი. საცდელი ნიმუშის შესა-  
დარებლად კი სამვარსკვლავიანი კო-  
ნიაკი. საცდელი ნიმუშების (გორული  
მწვანე და საფერავი) საკონიაკე სპირ-  
ტი (65 გრადუსიანი) 42 გრადუს სპირ-  
ტმემცველობამდე ზავდებოდა გა-  
მონხდილი წყლით და ემატებოდა 1,5%  
შაქარი. აღნიშნული ნიმუშები საკონტ-  
როლო ნიმუშთან ერთად შესწავლილი  
იქნა ორგანოლექტიკური და ფიზიკო-  
ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით.  
შედეგები მოტანილია ცხრილში 1-ში.

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ  
საცდელი ნიმუშების არცერთი მაჩ-  
ვენებელი არ ჩამორჩება საკონტრო-  
ლოს. ამ მაჩვენებლით შეიძლება ით-  
ქვას, რომ ახალი სქემით მიღებული  
მაგარ ალკოჰოლური სასმელები მივა-  
კუთნოთ კონიაკის ტიპის სასმელებს.  
საცდელი ნიმუშების მაჩვენებლები  
– ორგანოლექტიკური (ფერი, გემო,  
არომატი) და ქიმიური (ტანინი) საგრ-  
ძნობლად აღემატება საკონტროლოს.  
საცდელი და საკონტროლო ნიმუშე-  
ბი განსხვავებულია ფერის მიხედვით.  
განსხვავებაა აგრეთვე თვით საცდელი  
ნიმუშებს შორის. საკონტროლოში ფე-  
რის მისაღებად გამოიყენება შაქრის

კოლერი, ხოლო საცდელ ნიმუშებში  
კი საკონიაკე სპირტის მიღების ახალი  
სქემა უზრუნველყოფს ღვინო მასალა-  
ში არსებული ანტოციანების შენარჩუ-  
ნებას, რაც დადებითად გამოიხატება  
სასმელი ფერსა და გემოში. აღნიშნუ-  
ლი მაჩვენებლების უპირატესობა და-  
დასტურებია იმისა, რომ ახალი სქემა  
უზრუნველყოფს მაღალი ხარისხისა და  
გაუმჯობესებული ბიოლოგიური თვი-  
სებების მქონე სამიზნე პროდუქტის  
მიღებას. აქვე უნდა ითქვას, რომ საც-  
დელი ნიმუშები შეფასდა მათი მუხის  
კასრებში დაძველების გარეშე. ამ მი-  
მართულებით (დაძველებაზე) კვლევა  
გრძელდება. დარწმუნებული ვართ,  
რომ ამ პროცესის გამოყენებით საც-  
დელი ნიმუშების მაჩვენებლები კიდევ  
უფრო ამაღლდება.

**დასკვნა:** საკონიაკე სპირტის მი-  
ღების ახალი სქემა შესაძლებლობას  
იძლევა სამამულო წარმოების მეღ-  
ვინეობაში შეიქმნას და დაინერგოს  
მაღალი რენტაბელობის, მაღალი ხა-  
რისხისა და ბიოლოგიური თვისებე-  
ბის მქონე კონიაკის ტიპის მაგარ ალ-  
კოჰოლური სასმელი.

**გორა ძეგლაძე,**  
ტექნიკის მეცნიერებათა აკადემი-  
ური დოქტორი;

**ნანი ძეგლაძე,**  
ტექნიკის მეცნიერებათა აკადემი-  
ური დოქტორი;

**ზურაბ ძეგლაძე,**  
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

**ცხრილი 1.** კონიაკის ტიპის მაგარ ალკოჰოლური სასმელის ორგანოლექტიკური და ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების დახასიათება.

მაჩვენებლის დასახ.	მაჩვენებლის დახასიათება		
1. სასმელის ფერი	ღია მწვანე, მახა- სიათებელი ღვინო მასალისა	ღია წითელი, მახა- სიათებელი ღვინო მასალისა	ღია, ოქროს- ფერი
2. გამჭვირვალობა	გამჭვირ., ანალო- გიური საკონტრ.	გამჭვირვალე, ანალო- გიური საკონტრ.	გამჭვირვალე
3. არომატი	სპირტ. და გორული მწვ. ღვინო მასალის	სპირტისა და საფერა- ვი ღვინო მასალის	შერბილებუ- ლი სპირტის
4. გემო	მახასიათ. ღვინის სასიამოვნო	მახასიათ. ღვინის სა- სიამოვნო	სასიამოვნო გემო
5. სპირტმემცვ., %-ში	42,00	42,00	42,00
6. შაქრის შემცვ., %	1,5	1,5	1,5
7. მშრალი ნივთიერ. შემცვ. (რეფრაქტომე- ტრით) %	16,5	17,8	12,5
8. ტანინი, მგ/100მლ-ში	110,00	140,00	5,00

# „სალხის საკეთილდღეოდ და ხელნაირი მოგავლისათვის“

შარხან, 28 ოქტომბრიდან 2 დეკემბრამდე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭროვის სამინისტროს და ჰუნანის პროვინციის სოფლის მეურნეობის კორპორაციის მიწვევით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან 22 კაციანი ჯგუფი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სემინარზე – „მცენარეთა საფარის გავრცელებთან ბრძოლა და მცხოვრებლების თანამედროვე ტექნოლოგიები საქართველოსთვის“ გავემგზავრეთ.

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ვფიქრობდი, მივდიოდი აზიურ ქვეყანაში, სადაც კომუნისტური რეჟიმი (ჩინეთში ერთადერთი პარტიაა – ჩინეთის კომუნისტური პარტია), მაგრამ მალე სასიამოვნოდ გაცნობილი დავრჩი; დამხვდა საკმაოდ განვითარებული, თანამედროვე სახელმწიფო.

ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ის თანამედროვე ტექნოლოგიები რაც ჩინეთში ვიხილე მე ევროპის ქვეყნებში არ მინახავს. სტამბოლიდან ჩავფრინდით პეკინში. პეკინის აეროპორტშივე იგრძნობოდა სისუფთავე, ზედმიწევნით წესრიგი და დისციპლინა (სტამბოლის აეროპორტი, ამ თვალსაზრისით, საერთოდ არ შეედრება პეკინისას). აეროპორტი წარმოადგენს დაახლოებით მინი ქალაქს, სადაც მოძრაობენ მეტროს სტილის ელექტრო მატარებლები და ლამაზი ელექტრო ავტობუსები, რომელთაც მგზავრები გადაჰყავთ შიდა დანიშნულების შედარებით პატარა აეროპორტებში. ჩვენ ჯგუფში იყვნენ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები და ისინი ხუმრობდნენ – პეკინის აეროპორტი ქალაქ ბათუმის ხელაო და მართლაც დაახლოებით ასეა. პეკინიდან შიდა ხაზებით გავფრინდით ჰუნანის პროვინციის დედაქალაქში ქ. ჩანგშაში.

ორსაათიანი ფრენის შემდეგ ცხრამილიონიანი ქალაქის არანაკლებ თანამედროვე და კომფორტულ აეროპორტში ჩავფრინდით. მეორე დღიდანვე დაიწყო სემინარები.

კვირის ბოლოს დაგეგმილი იყო გასვლითი ღონისძიება ქალაქთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ სოფელში და დავათვალიერეთ სასათბურე მეურნეობა, რომელიც საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული არა მარტო ამ პროვინციაში, არამედ მთელ ჩინეთში. ამ ტიპის მეურნეობებში მოჰყავთ თითქმის ყველა სახის ბოსტნეული, რომელსაც აწარმოებენ იმ-

დენად ჭარბი რაოდენობით, რომ ამა-რაგებენ სხვა ახლომდებარე პროვინციებსაც. როდესაც დავინტერესდით და ვიკითხეთ, თუ რა პროდუქციის ექსპორტს აწარმოებენ ქვეყანა სოფლის მეურნეობის სფეროში, აღმოჩნდა, რომ ეს არის ჩაი, ზღვის პროდუქტები (თევზი, ზღვის კომბოსტო-ლამინარია და სხვ.) და სწორედ სასათბურე მეურნეობებში წარმოებული ბოსტნეული.

სემინარები ძირითადად ტარდებოდა მცენარეთა სხვადასხვა მავ-



ნებლებთან ბრძოლის ღონისძიებებზე, მაგრამ ერთი სემინარი ჩატარდა მეტად საინტერესო თემაზე. ეს იყო ჩინეთის სოფლის მეურნეობის მიღწევები გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან 2017 წლამდე. სემინარიდან გაირკვა საოცარი ფაქტები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა თაობის და საერთოდ აქტიური მუშახელის გადინება, ამ დროისთვის, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლებიდან ქალაქებისკენ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება წარმოუდგენლად გაიზარდა. კერძოდ, ყველა კატეგორიის ხორცის წარმოება ქვეყანაში საშუალოდ 444 %-ით გაიზარდა, რძის წარმოება – 2566 %-ით, შაქრის – 378

%-ით, ხორბლის – 121 %-ით, ბამბის – 160 %-ით, საკვები ზეთის – 530 %-ით და ა.შ.

სოფლის მეურნეობის ამ მიმართულებებში ესოდენ სწრაფი ზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და სოფლის მეურნეობის და გამომუშავებელი სფეროს ინტენსიური წარმოების დანერგვამ განაპირობა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2017 წლამდე ქვეყნის მოსახლეობა მნიშვნელოვნად არ გაზარდია. იმის გამო, რომ სწორედ ამ პერიოდიდან 2014 წლამდე ქვეყანაში აკრძალული იყო ოჯახში 1 ბავშვზე მეტის ყოლა და სულ რაღაც ბოლო 3 წელია რაც ხელისუფლებამ ნება დართო ოფიციალურად, ოჯახებს 2 ბავშვის ყოლის შესახებ, ასე მოგვახსენა ლექტორმა, რომელმაც ეს მონაცემები გაგვაცნო.

მეცხოველეობის სფეროში ყველაზე მაღალ დონეზე მეფრინველეობა და მეღორეობაა განვითარებული, არა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული ფრინველისა და ღორის ხორცის წარმოებით, არამედ მთლიანად ქვეყანაში წარმოებული ხორცის საერთო რაოდენობიდან გამომდინარე პროცენტული შეფარდებით. ჩემდა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მეფრინველეობასა და მეღორეობაში სხვა ინფორმაციის მოპოვება, მცდელობების მიუხედავად, ვერ შევძელით და არ მოგვეცა არც ფერმების დათვალიერების შესაძლებლობა. სამაგიეროდ დავათვალიერეთ მერძეული მიმართულების მესაქონლეობის ფერმა და მართალია ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გაგვაცნეს მწირი მონაცემები.

ფერმა წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, სადაც 8 აქციონერმა ჩადო 200 მილ. იუანი. ეს არის, დაახლოებით, 30 მილ. აშშ დოლარი. ფერმაში ჰყავდათ 1000 მენველი ფური 7000 კგ საშუალო წველადაობით წლიურად, 3,2 % საშუალო ცხიმით. იგი დაკომპლექტებული იყო ორი ჯიშით: ჰოლშტეინით (60 %) და ჯერსული ჯიშებით (40 %), რომლებიც შემოჰყავთ ავსტრალიიდან. ავსტრალიიდანვე შემოაქვთ გაყინული სპერმა და ახორციელებენ ხელოვნურ განაყოფიერებას. ფერმას გააჩნია საკუთარი მიწის ფართობები 220 ჰა სახნავი, სა-



დაც მოჰყავთ ძირითადად სასილოსე სიმინდი და მცირე ოდენობით მარცვლეული. სააქციო საზოგადოება საფურაჟე მარცვლეულს ძირითადად ყიდულობს.

ქალაქის გარეუბანში დავათვალიერეთ ულტრათანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი რძის გადამმუშავებელი კომბინატი, სადაც დაცული იყო ზედმინევენით სისუფთავე და წესრიგი. კომბინატს აქვს თანამედროვე ბიოქიმიური ლაბორატორია, სადაც დასაქმებულია მხოლოდ 4 ადამიანი, ხოლო მთლიანად სანარმოში, სამივე ცვლაში – 28 კაცი მუშაობს.

სანარმო უშვებს მხოლოდ პასტერიზებულ რძეს, იოგურტს და კეფირს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი რძეს და რძის პროდუქტებს არ მოიხმარს. ეს წარმოებული პროდუქცია გათვალისწინებულია მხოლოდ ხელისუფლებისთვის და მთავრობის წარმომადგენლებისთვის, ასე დაგვიმოდვრეს სანარმოს მესვეურებმა.

სემინარის პროგრამა ითვალისწინებდა კულტურულ ღონისძიებებსაც. ამ მიზნით ვიმოგზაურეთ რამოდენიმე ქალაქში. ყველგან შეინიშნება თანამედროვე, დახვეწილი ტექნოლოგიები და ზედმინევენით განვითარებული ინფრასტრუქტურა. ქალაქებს შორის მოძრაობენ სწრაფი მატარებლები, რომლებიც ავითარებენ 350 კმ/სთ სიჩქარეს. მათი სამოდრო ესტაკადებით დასერილია მთელი რესპუბლიკა, მთლიანად მოწყობილია საჰაერო მონორელსები, რომლებიც გაყვანილია 20-25 მეტრის სიმაღლეზე დასახლებული პუნქტების და ავტომაგისტრალების თავზე. 10, 20 და 27 მილიონიან ქალაქებში საავტომობილო გზებზე თითქმის არ შეინიშნება საცობები, რადგან რამოდენიმე სართულად მოწყობილია საავტომობილო პანდუსები და ესტაკადები. საზოგადოებრივი ტრანსპორტი მხოლოდ ელექტროა. კერძოდ, ელექტრო ავტობუსები, ტროლეიბუსები და ელექტროველოსიპედები (არც ერთ ქალაქში სამარშრუტო ტაქსები არ მოძრაობს). ასე მაგ., დილით გამოსხვედი სახლიდან და მიგეჩქარება სამსახურში. გახვედი გაჩერებაზე. საზოგადოებრივ ტრანსპორტს რომ არ დაელოდო (რომელიც მკაცრად ყოველ 2 წუთში მოდის), იქ დაგხვდება 15-20 ელექტრომობილი. მიხვალ, შენს სახელფასო ბარათს დაადებ სპეციალურ ადგილას, რა თქმა უნდა ელექტრო-მობილზე, მოიხსნება ბლოკი, დაჯდება და წახვალ სამსა-



ხურში. სამსახურში კი სპეციალურად გამოყოფილ ავტოსადგომზე გააჩერებ მოხვდეს. სამუშაოს დასრულების შემდეგ გამოხვალ, ისარგებლებ იმავე ბარათით და მიხვალ შენს გაჩერებაზე. იქ კი ისევ დააყენებ ელექტროველოსიპედს და ა. შ. ძალიან პრაქტიკული და მოსახერხებელია მგზავრობის ეს მეთოდი, თანაც ეკოლოგიურად სუფთა. შენს ქალაქს უფროხილდები, გამონაბოლქვით არ აბინძურებ მას და სამსახურშიც მიდიხარ აუღელვებლად და დროულად. საქალაქო ავტობუსები ყველა ქალაქში ელექტროძრავებზეა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა სამსახური და სასწავლებელი მთელს ქვეყანაში მუშაობას იწყებს დილით 9 საათზე. უმეტესობა სამსახურებისა მუშაობს სამ ცვლაში, ანუ ფაქტიურად მთელი ჩინეთი დღე-ღამე შრომობს (1,4 მლრდ მაცხოვრებელს სხვანაირად ვერ დაასაქმებ. ქვეყანაში უმუშევრობა საერთოდ არ არის). ნავაწყდით ერთ მეტად საინტერესო ფაქტსაც. თითქმის ყველა ქალაქის გარეუბანში მიმდინარეობს საცხოვრებელი მასივების ინტენსიური მშენებლობა. მაგ., ერთ-ერთი ქალაქის გარეუბანში ერთდროულად შენდებოდა 50-60 საცხოვრებელი კორპუსი (იქ მოდაში 30 სართულიანი შენობებია); მშენებლობა სრულდება, კეთილმოეწყობა გარეშემო ტერიტორიაც, მაგრამ სახლები ცარიელია. დაგვანიტერესა და ვიკითხეთ, თუ რაშია საქმე. სწრაფად გაგვარკვიეს საქმის ვითარებაში. აგვისსეს, რომ კორპუსები რომ არ აშენდეს, თურმე, ქვეყნის ეკონომიკისთვის არაფრით არ შეიძლება, რადგან ხარჯი რასაც ეკონომიკა ითვალისწინებს, უნდა იყოს ათვისებული, ხოლო რაც შეეხება ადამიანების შესახლებას ეს შეიძლება მოხდეს 2, 5 ან 10 წლის შემდეგ. ჩინეთის სახალხო რესპუბლი-

კაში კერძო საკუთრება 13-15 %-ით არსებობს, ანუ 85-87 % ყველაფერი, როგორც სანარმოები, ასევე საცხოვრებელი სახლები სახელმწიფო დაქვემდებარებაშია. რაც შეეხება ბინით უზრუნველყოფის საკითხს, ქვეყანაში ასეთი პრინციპი მოქმედებს: როგორც კი ჩინეთის მოქალაქე იწყებს მუშაობას, სანარმო მას ბინით აკმაყოფილებს, უფასოდ რა თქმა უნდა. ეს ბინა მის საკუთრებაშია მანამ, სანამ ცოცხალია. გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს მიაქვს ბინა და შედეგ ამ ბინით აკმაყოფილებს სხვა მუშაკს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბინის მფლობელს მისი გაყიდვა, ან ვინმესთვის გადაცემა თავისი სურვილისამებრ არ შეუძლია, ბინა წარმოადგენს სახელმწიფოს კუთვნილებას. თუმცა დაამატეს, რომ ქვეყნის ეკონომიკა იმდენად სწრაფი ტემპებით ვითარდება, რომ დაწყებულია ახალი კანონპროექტების მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ ბინების პრივატიზების პროცესს, ისე რომ საცხოვრებელი სახლები თავისუფალ და სამუდამო მფლობელობაში გადაეცეთ მათ მესაკუთრეებს.

საერთო ჯამში, ამ გასაოცარმა ქვეყანამ ჩემზე საინტერესო და რაღაც იდეალური შთაბეჭდილება დატოვა თავისი რობოტებივით მშრომელი, მუდამ მომღიმარი და ოდნავ გადაღლილი გამომეტყველების მქონე მოსახლეობით, რომლებიც დაუღალავად ფუსფუსებენ „ხალხის საკეთილდღეოდ და ბედნიერი მომავლისათვის“ სწორედ ეს წარმოადგენს ქვეყნის მთავარ ღირებულებას.

**კობა ნაცვალაძე,**  
სოფლის მეურნეობის დოქტორი,  
სსიპ სოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი





# კიტრის კულტურა სათბურში

**წინამორბედი კულტურის ალავის შემდეგ, აუცილებელია, ჩატარდეს სათბურის ბრუნვის დაზიანება. ნიადაგის სასურველი პპ-6.5-7, ჩითილის გადარგვის წინ შაქვით ორბანული სასუქი-ნაკელი ან კომპოსტი (20-25კგ/1მ<sup>2</sup>-ზე), რომელსაც თანაბრად ანაწილებენ მის ზედაპირზე და მიწისპირა სასუქი – ჩვეულებრივი სუპერფოსფატი 80 გრ ან ორბანი სუპერფოსფატი 40 გრ, შარდოვანა 30 გრ ან 40 გრ ამონიუმის გვარჯილა, კალიუმის სულფატი 30გრ-1მ<sup>2</sup>. და ჩახნაპენ ნიადაგში.**

ჩითილის გადარგვის წინ ნიადაგს მოასწორებენ ფოცხით და კარგად ატენიანებენ. არაპარტენოკარპული ჰიბრიდებს რგავენ რიგებად, რიგში ორ მწკრივებად, რიგებს შორის მანძილი 100 სმ, მცენარეთა შორის 50X60 სმ (საშუალოდ 3 მცენარე 1მ<sup>2</sup>-ზე.)

პარტენოკარპული გრძელნაყოფა ჯიშებს რგავენ რიგებად, V-ფესებურად გაყოფილი მხრებით, რიგთაშორის 150 სმ, ხოლო რიგში მცენარეთა შორის 50სმ (1.4 მცენარე 1მ<sup>2</sup>-ზე).

კიტრის ჩითილებს გადარგვის წინ რწყავენ, მთლიანად ასველებენ ჭიქას ან კასეტას, გადასარგავად არჩევენ ჯამრთელ, კარგად განვითარებულ, ძლიერ მცენარეებს, რგავენ მათ ვერტიკალურად, წინასწარ გაკეთებულ ორმოებში. გადარგულ ჩითილს რწყავენ და შემდეგ აბამენ თოკით მავთულის შპალერზე. შპალერი გაჭიმულია ნიადაგიდან 2მ სიმაღლეზე. ერთი ბოლო მიბმულია მავთულზე ხოლო მეორე მცენარეზე არამჭიდროდ ან ნიადაგში ჩასობილ საგანზე. ამავდროულად დაუშვებელია თოკის ძლიერი დაჭიმვა, რადგან შპალერის რხევისას შეიძლება დავაზიანოთ ფესვთა სისტემა ან მცენარე ამოვგლიჯოთ მინიდან.

არაპარტენოკარპული ჯიშების ფორმირებას ატარებენ შემდეგნაირად-ზრდის საწყის ეტაპზე 3-4 ნამდვილი ფოთლის ფაზაში, ნამხრეებს და მდებრობით ყვავილებს ამორებენ, რათა მცენარე მომძლავრდეს და განვითარდეს. შემდეგ ზევით განვითარებულ ნამხრეებს შეატენენ 2, ხოლო შპალერთან ახლოს 3 ფოთოლზე. შპალერამდე მიღწეულ მთავარ ღეროს წვერს შეამტვრევენ, მის ზევით 3-4 ფოთლის დატოვებით.

გრძელნაყოფა პარტენოკარპულ ჰიბრიდების ფორმირებას ახდენენ

სხვანაირად. მცენარეებს 50-60 სმ სიმაღლემდე აცილებენ ყვავილებს და გვერდით ტოტებს, შემდეგი 4-5 ფოთლის ილღებში ტოტებენ ნამხრეებს რომელსაც შეტეხავენ პირველ ფოთოლზე, მდებრობით ყვავილებს ამორებენ. შემდეგი 5-6 ფოთლის ილღიდან განვითარებულ ნამხრეებს შეამტვრევენ 3-4 ფოთოლზე, მათზე 3-4 ნასკვის დატოვებით. ძირითად ღეროზე ტოტებენ 4-6 ნაყოფს. მცენარის წვერს შეტეხავენ შპალერის ზემოთ, მეოთხე ფოთოლზე, გადახრიან და მიაბამენ მავრთულზე. მსხმოიარობამდე აუცილებელია, სათბურში ჰაერის ტემპერატურა იყოს 22-24 C° მზიან დღეებში, 20-22 C° მოღრუბლულ ამინდში, ხოლო 17-18 C° ღამით. მსხმოიარობის პერიოდში ტემპერატურას სწევენ ზევით (მზიან ამინდში 24-28 C°, მოღრუბლულში 21-23 C°, ღამით 18-20 C°). ნიადაგი ოპტიმალური ტემპერატურა 22-24 C°. დაუშვებელია, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა, რადგან ის იწვევს მცენარეთა დასუსტებას და დაავადებათა განვითარებას.

სასურველია, მცენარეთა მორწყვა თბილი წყლით (20-25 C°), ყოველ 2-3 დღეში, მსხმოიარობის დაწყებიდან ყოველ დღე 5-10 ლიტრი წყალი 1მ<sup>2</sup>-ზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კვების რეჟიმს. მცენარეებს კვებავენ ყოველ 7-10 დღეში, მინერალური სასუქებით. მსხმოიარობამდე მცირე დოზებით, მსხმოიარობის დაწყებიდან გაზრდილი. 10 ლიტრ წყალში ხსნიან 10-15 გრამ შარდოვანას ან 15-20 გრ ამონიუმის გვარჯილას, სუპერფოსფატი 20-30 გრ, კალიუმის ქლორიდი 15-20 გრ, ეს რაოდენობა საკმარისია 2-4 მ<sup>2</sup>-ზე. ფესვური გამოკვება უმჯობესია ჩატარდეს მზიან ამინდში.

ხანგრძლივი მოღრუბლული ამინ-

დის შემთხვევაში, მიმართავენ არაფესვურ გამოკვებას, მიკრო და მაკრო ელემენტებით. ნაკლებ ნაყოფიერ, ჰუმუსით ღარიბ გრუნტში მინერალური გამოკვების გარდა, შეაქვთ ორგანული სასუქი-წყალში გახსნილი ნუნწუხი 1:5; 1:10 თანაფარდობით. ფესვებიდან და ფოთლებიდან გამოკვება ენაცვლება ერთმანეთს.

გადარგვიდან 35-50 დღეში მცენარეებზე ფორმირდება პირველი მოსახმარად ვარგისი ნაყოფები, თავდაპირველად მოსავალს კრეფენ კვირაში 1-2 ჯერ, შემდეგ 3-ჯერ, უმჯობესია დილის საათებში. კიტრს ჭრიან დანით ან წყვეტენ ხელით, მოქაჩვის გარეშე. ამავდროულად აუცილებელია, ყველა დეფორმირებული და დაავადებული ნაყოფის მოშორება. მოსავლიანობა 8-20 კგ-მდე 1მ<sup>2</sup>-ზე.

## კიტრის სასათბურე ჯიშები/ჰიბრიდები

კიტრს სათბურში უმეტესწილად აწარმოებენ ზამთარ-გაზაფხულის კულტურათბრუნვაში, იანვარ-თებერვლიდან ივლის-აგვისტომდე, უმეტესად გამოიყენება მოსავლიანი და დაავადებების მიმართ გამძლე ჰიბრიდები.

**კიტრი ზაზულია** – საადრეო, საშუალოდ დატოტვილი ჰიბრიდია, მსხმოიარობაში შედის აღმოცენებიდან 50 დღეში, ცილინდრული ფორმის, 16-20 სმ სიგრძისა და 150-170 გრამიანი ნაყოფებით, ხორკლიანი ზედაპირით.

**კიტრი აპრელსკი** – ყველა მონაცემებით ზაზულიას მსგავსია

**კიტრი სურპრიზი 66** – საშუალო სიმწიფის, საშუალოდ ფითლიანი და დატოტვილი, ცილინდრული ფორმის ნაყოფებით, სიგრძე 14-18 სმ, მასა 100-120 გრ, ხორკლიანი ზედაპირით.

**კიტრი მაისკი** – საადრეო, ფუტკარმტვერია (არაპარტენოკარპიკი) მსხმოიარობას იწყებს აღმონაცენის გამოჩენიდან 50-55 დღეში, მცენარე ძლიერ მზარდია, ნაკლებად დატოტვილი, ნაყოფები ცილინდრულია, სიგრძით 17-20 სმ, მასა 180-200 გრ.



**კიტრი კრისტალი** – საადრეო ფუტკარმტვერია (არაპარტენოკარპიკი), პირველი ნაყოფები ფორმირდება აღმოცენებიდან 50-55 დღეში, ახასიათებს ერთდროული შემოსვლა, ნაყოფი ოვალურ-ცილინდრული ფორმისაა, სიგრძე 20-25 სმ, მასა 180-260 გრ.

**Darina Mix F1 და Dasher II Mix F1** (ორივე ჰიბრიდის მწარმოებელია ჰოლანდიური კომპანია შემინის), ფუტკარმტვერია, ნაყოფის ზედაპირი ხორკლიანია, სიგრძით 20-23 სმ, ამ ჯიშის მცენარეები არიან ჯანსაღნი, ამტანი და ძლიერმზარდი. ნაყოფი ხრამუნა და გემრიელია. ერთიანი წარმატებით უხვმოსავლიანია როგორც სათბურში ისე ღია გრუნტში.

**Samarkand Mix F1**, ფუტკარმტვერია, (მწარმოებელია ჰოლანდიური კომპანია შემინის) ნაყოფი ზედაპირი გლუვია, ხორკლების გარეშე, 18-20 სმ სიგრძის. ჰიბრიდი საადრეოა, ხანგრძლივად სიცოცხლის უნარიანი და მაღალი სიცხების ამტანი. აქვს გემრიელი ნაყოფი, ბოლოებში ყოველგვარი სიმწარის გარეშე.

**Babyion Mix F1**, ფუტკარმტვერია, (მწარმოებელია ჰოლანდიური კომპანია შემინის), ნაყოფი გლუვი, პრიალა, ხორკლების გარეშე, 15-16 სმ სიგრძის. ბაბილონი არის საადრეო, სტაბილურად უხვმოსავლიანი და სიცხის ამტანი ჰიბრიდი. ნაყოფი გემრიელია, ყოველგვარი სიმწარის გარეშე.

**კიტრის მავნებლები და მათთან ბრძოლის მეთოდები**

**ბუგრები** (ბაღის ბუგრი, ატმის (თამბაქოს) ბუგრი) – ბუგრები, სახლდებიან უპირატესად ახალგაზრდა ფოთლების ქვედა მხარეზე, ასევე ყლორტებზე და ნუნუნით აზიანებენ მათ. ფოთლები უფერულდება, იკრუნჩხება და შემდეგ ხმება, საბოლოო ჯამში მცენარე იღუპება.

**ბუგრების წინააღმდეგ ვიყენებთ:** აქტელიკს 0.15%. კარბოფოსს 0,1%, კონფიდორი 0,02%.

**აბლაბუდა ტკიპა** – ტკიპა და მისი მატლები ნუნუნთან ფოთლებს, ფოთლის და ნაყოფის ყუნუნებს, აჩენენ მათზე წინკლებს, ფოთლები უფერულდება და ცვივა.

ტკიპა პატარა ზომისაა 0,25-0,45 მმ სიგრძის, მოყვითალო-მომწვანო ფერის, კვერცხებს დებს ფოთლის ქვედა მხარეს და აბამს აბლაბუდას ქსელით. ერთი ტკიპა დებს 100-160 კვერცხს. ემპრიონული განვითარება 2-6 დღეს გრძელდება. შემდეგ იჩეკებიან მატლები, თაობის განვითარება 9-14 დღე გრძელდება. განვითარების კარგი

პირობებია 29-31 და 35-55 % ტენიანობა, ასეთ პირობებში ტკიპა 15-მდე თაობას იძლევა, მაღალი ტენიანობა (80% და მეტი) ხელს უშლის მავნებლის განვითარებას.

**საბრძოლველად გამოიყენება** 0,15 % აქტელიკი, 0,1 % კარბოფოსი, 0,2% ნეორონი, 0,03-0,05% ნისორანი, 0,03-0,05% სანმაიტი.

**კიტრის დაავადებები და მათთან ბრძოლის მეთოდები**

**ნაცარი** – დაავადება დასაწყისში ფოთლებზე ცალკეული გაფანტული ლაქების, ბაცი ნაცრისფერი, ნაზი ფიფქის სახით ვითარდება. შემდეგ კი ფოთოლი და ყუნწი მთლიანად მუქი ნაცრისფერი ფიფქით იფარება. ფოთლები ყვითლდება, ჭკნება და ნაყოფი ვეღარ სრულდება. მცენარე ნაადრევად ხმება.

**ბრძოლა:** ნაცრის პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე, ტარდება შესხურება ფუნგიციდებით: ბაილეტონი 0,01%, ტოპაზი 0,02%, კოლოიდური გოგირდი 0,5-1%.

**კიტრის ჭრახი (პერენესპოროზი)** – ჭრახით ავადდება ფოთილი, რომლის ზედა მხარეზე ყვითელი დაკუთხვილი ლაქები ჩნდება, ქვედა მხარე კი მონაცრისფერო-იისფერი ნაზი ფიფქებით იფარება, ფოთოლი ხმება და ადვილად იფშვნება. დაავადება ინტენსიურად ვითარდება ჭრახი ტენის პირობებში, ოპტიმალური ტემპერატურა 15-20 C°.

**ბრძოლა:** რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, სპილენძის ქლორფანგი 0,5%, ბორდოლის სითხე 1%, იტერალი 0.4%, კოსაიდი 0.4%, ანტრაკოლი 0.4%, ტატუ 0.5%. ბრძოლის ღონისძიებას ვინცებთ სისტემური ფუნგიციდებით (რიდომილ გოლდი) და შემდეგ ვაგრძელებთ კონტაქტურით (ანტრაკოლი, სპილენძის ქლორფანგი, ბორდოლის სითხე).

**ანტრაქოზი ანუ პირისფერი სილაქავე** – კიტრის ფოთლებს აავადებს ადრეულ სტადიაზე, ზედ აჩენს არამკვეთრად გამოსახულ ლაქებს, რომელთა რიცხვი და ოდენობა დამოკიდებულია ავადმყოფობის განვითარების პირობებზე. თუ პირობები კარგია, ლაქები დიდდება, მრავლდება და ხშირად ფოთლის ფირფიტის გახმობასაც იწვევს. ერთეული ლაქები მკვეთრი არაა და ოდნავ მონითალო ფერი გადაკრავთ.

ღეროს დაავადებისას, იმის მიხედვით, თუ რა ადგილას მოხვდება ინფექცია, სხვადასხვა შედეგი შეიძლება ჰქონდეს: თუ დაზიანება ღეროს ფესვის ყელთანაა, მაშინ მთელი მცენარის გახმობას იწვევს, თუ ღეროს ნაწილია დაზიანებული, მაშინ მისი ნახმობა ხდება და მისი უკანა ნაწილი ახალ ბნკალს გამოიტანს.

სოკოს განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტენიანობას, ის არის როგორც სპორების გალივებისთვის საჭირო ფაქტორი, ასევე მათი გავრცელებისათვისაც. ლორწო რომელშიც სპორებია დაგროვილი, წყლის წვეთში იხსნება და თავისუფლად გადადის ახალ ორგანოებზე. გავრცელებას ხელს უწყობენ მწერებიც. სპორების განვითარების ოპტიმალური ტემპერატურა 22-27 C°. სხვადასხვა ტემპერატურაზე საინკუბაციო პერიოდი იცვლება.

**ბრძოლა:** რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, სპილენძის ქლორფანგი 0,5%, ბორდოს სითხე 1%.

**კიტრის ნაყოფების მურა ლაქიანობა** – აღნიშნული სოკო აავადებს კიტრისა და ნესვის ნაყოფებს. იშვიათად გვხვდება ტოტებზე და ფოთლებზე.

ნაყოფის დაავადების დროს ჩნდება მურა ფერის პატარა ლაქები, რომლებიც დიდდება და სხვადასხვა ფორმას იღებს (მოგრძო, მრგვალი და სხვა). ლაქის ზრდა სიღრმეშიც ხდება. კიტრის ნაყოფში შეჭრილი მიცელიუმი სიღრმეში ვრცელდება და მთელი ნაყოფის დაღობას იწვევს. სოკოს ნაყოფიანობა ჩნდება ლაქებზე ხავერდოვანი მურა ფერის ლაქების სახით.

**ბრძოლა:** რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, სპილენძის ქლორფანგი 0,5%, ბორდოს სითხე 0,5%.

**სამხრეთული ფესვის სიღამპლე, გოგროვანთა საერთო ავადმყოფობა** – იწვევს ღეროსა და ნაყოფის დაავადებას. ნაყოფის დაავადება სწრაფად მიმდინარეობს. დაავადება იწყება ნიადაგის მხრიდან, სოკო იჭრება ნაყოფში და იწვევს ქსოვილის დაშლას. ნაყოფი კარგავს თავის ფორმას, დამპალი მხრიდან ჯდება ანუ ბრტყელდება, შემდეგ სკდება.

ბრძოლა: პრევიკური 0,2%.

*ნათო კაპაბაძე,  
სმმ დოქტორი. სმმ აკადემიის  
ბოსტნეული კულტურების  
ეროვნული კოორდინატორი.*

# ანგუსი - ჩრდილოეთ ამერიკის შავი ოქრო

კოჭრანის პროგრამის ფარგლებში საქართველოდან 5 მონაწილე ვიდეოფაგოლით აზრში, კანზასისა და მისურის შტატში (უმატესად კანზასის შტატში), სადაც ბავშვებთან მაცხოვრებლის თანამედროვე სისტემას, მცხოვრებელ მინარტულთან ფარმას, ბენეტიკურ სელექციას, ხელოვნური ბანაჟიფიკაციის უახლოეს მეთოდებსა და ტექნოლოგიას, კვიპის სისტემას, მაცხოვრებლის ასოციაციების მუშაობას, ცოცხალი პირუტყვის ექსპორტი-იმპორტის კონტროლს, საკომერციო, სასაქონლო სისტემების მენეჯმენტს, ვეტერინარული სწავლების სისტემას. სწავლება ძირითადად ტარდებოდა კანზას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში.

ეს უნივერსიტეტი ერთ-ერთი მაღალტექნოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა აშშ-ში, წამყვანები არიან გენეტიკაში, ვეტერინარიაში, ფიტოსანიტარიაში. ვიზიტი ძალიან დატვირთული, ნაყოფიერი და დროული გახლდათ, რადგან ჩვენს ქვეყანაში მეხორცული მიმართულებით ინდუსტრია შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა ყალიბდება. ამ დრომდე საოჯახო მეურნეობებში გამოზრდილი პირუტყვი აყალიბებდა ადგილობრივი ხორცის წარმოებას. მიღებულმა ცოდნამ ბევრად გაამდიდრა ჩვენი გამოცდილება ამ მიმართულებით, რაც აუცილებლად ჰპოვებს ასახვას საქართველოს ძროხის ხორცის წარმოების ინდუსტრიაში.

აშშ ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ძროხის ხორცის მწარმოებელ და მომხმარებელ ქვეყანად. ამიტომაც არის, რომ მეხორცეობის ტრადიცია მკაფიოდ გამოხატულია. ამერიკა ლიდერია ხარისხიანი ხორცის წარმოებაში, ძირითადად აშენებენ ძროხეულის ელიტურ მეხორცულ ჯიშებს ანგუსსა და ჰერეფორდს, რომლებიც გამოყვანილია დიდ ბრიტანეთში და ითვის არაერთ ასწლეულს, ასევე – ფრანგული წარმოშობის შაროლეს. ქვეყანაში მალაია ხორცის მოხმარების კულტურა. ძროხეულის მოშენებაც და ხორცის კულინარია არის არა უბრალოდ ხელობა და შიმშილის მოკვლა, არამედ ეროვნული კულტურის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ინდუსტრიაზე მეტია.

ეს უნიკალური ტრადიციაა. ამასთან, ამერიკა არ არის მკაცრად ორიენტირებული ხორცის ექსპორტზე და პროდუქციის მეტ ნაწილს აწარმოებს შიდა ბაზრისთვის, რომელიც ხარისხისადმი ძალიან მომთხოვნია.

ძროხეულის ყველა ჯიშისგან გამორჩევა აბერდინ-ანგუსი, ამ სახეობის ხბოები ძალზე სწრაფად იზრდებიან და იმატებენ წონაში, ამას კი მეცხოველეობისთვის მოაქვს სწრაფი მოგება და იმის გარანტია, რომ პირუტყვის შენახვის დანახარჯის სწრაფად ამოღება ხდება.

ძროხეულის ხორცის წარმოების ინდუსტრიაში წარმატებით არის ჩართული ამერიკის ანგუსის ასოციაცია, რომელიც დაარსდა 1883 წელს და ლიდერი ასოციაციაა ამერიკის მეცხოველეობის სექტორში. ასოციაცია ძირითადად წარმოდგენილია კანზასის, მისურის, აიოვასა და ილინოისის შტატებში. მათი მისიაა, უზრუნველყონ სხვადასხვა პროგრამები, სერვისები და ტექნოლოგიები, წარმოაჩინონ გენეტიკის გავლენა მეცხოველეობის ინდუსტრიაზე, გზარდონ ბაზრის მოთხოვნა ანგუსის მაღალხარისხიან ხორცზე.

ასოციაცია ინახავს ინფორმაციას 20 მილიონ ანგუსზე.

## აბერდინ-ანგუსის ჯიშის ისტორიული მიმოხილვა

როგორც აღვნიშნეთ, კანზასის და მისურის შტატში, როგორც მთელ ამერიკაში მეხორცული მიმართულების

ერთ-ერთი წამყვანი ჯიშია აბერდინ-ანგუსი (არსებობს ორი ფერის შავი და ნივთელი), ძველებური ჯიში, რომელიც კვლავ პოპულარობის პიკზეა, განსაკუთრებით შავი ფერის ანგუსი – ჩრდილოეთ ამერიკის შავი ოქრო.

აბერდინ-ანგუსის ჯიშის ძროხები გამოიყვანეს XVII საუკუნეში. შავი ანგუსის ჯიშის სამშობლო შოტლანდიური საგრაფოები აბერდინი და ანგუსია. ამ ჯიშის წინაპრები მინას ხნავდნენ. მათი ხორცი ძარღვიანი და მაგარი იყო.

მე-19 საუკუნის ბოლოს ანგუსის ჯიშის ძროხები გააკეთილშობილეს და შეიყვანეს კანზასის შტატში, აშშ-ში. თანდათან აშშ-ს ფერმერული მეურნეობები იზრდებოდა. ხოლო XX საუკუნიდან აშშ-მ დაიწყო სუფთა სისხლის შავი ანგუსების ექსპორტი. ასე აღმოჩნდნენ ანგუსები კანადაში, არგენტინაში და სხვა ქვეყნებში.

## სახელმწიფო ჯიშის ექსპორტი

შავი ანგუსის ჯიშის მოზრდების განმასხვავებელი ნიშნებია ურქობა და შავი ფერი. მას აბერდინები გადასცემენ სხვა ჯიშის საქონელთან შეჯვარებისასაც კი. ისინი პატარა ძროხები არიან, რომლებიც მინდაში აღწევენ 120 სმ-ს.

ზრდასრულ ანგუსს აქვს პატარა თავი, ვიწრო კეფით, კისერი სქელი, არც ისე გრძელი, მკერდი ფართო, მინდაო და ზურგი თანაბარი, კიდურები მოკლე, ბარკლის მუსკულატურა აღწევს სახტომ სახსარს, ტყავი თხელი და ფაშარია (ტყავქვეშა ცხიმის გამო), დაფარულია რბილი შავი ბალნით.

ხბოების აგებულება ნაკლებად პროპორციულია (მათ აქვთ დიდი თავები და უფრო გრძელი ფეხები).

## რამდენად ეფექტური არიან შავი ანგუსები?

ეს ჯიში გამოირჩევა სწრაფი მომწიფებით (ზომები იზრდება სწრაფად, მაგრამ ადრე ჩერდება). ახლადმოგებული ხბოს წონა დაახლოებით 16-25 კგ-ია. ამასთან ექვსი თვის ასაკისათვის წამოზრდილი ხბოები იწონიან 170-180 კგ-ს. შავი ანგუსის დეკეულები და მოზრდები დღე-ღამეში იმატებენ ერთ კგ-მდე. თხუთმეტი თვის ასაკში დეკეული უკვე მზადაა დასათესლად. წლინახვერის ხბოს წონა და-





ასლოებით 550 კგ-ია. კარგად ნაკვები ზრდასრული ძროხები იწონიან 550-650 კგ-ს, ხოლო აბერდინ-ანგუსის ბულები 800-850 კგ-ს. ასეთი მაჩვენებლების მიღწევა შეიძლება, საქონლის კვებისადმი სწორი მიდგომით.

**ანგუსის ჯიშის უპირატესობები:**

1) ახალგაზრდა ხბოები 205 – დღემდე იკვებებიან დედის რძით და აღწევენ 200-220 კგ-ს.

2) შავი ანგუსის ჯიშის ცხოველების ჩონჩხი ნვრილი და მსუბუქია. ნაკლავის გამოსავალი რეკორდულია და შეადგენს 65-70%-ს.

3) დაკვლის შემდეგ: ძვლის პროცენტული შემადგენლობა არ აჭარბებს 18%-ს, ამასთან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სხვა ჯიშებისგან.

4) ადვილად და სწრაფად ეგუებიან ნებისმიერ კლიმატურ და გარემო პირობებს, არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებს.

5) სხვა ჯიშებთან შეწყვილებით გადასცემენ მეხორცულ თვისებებს. ჩვეულებრივ ანგუსის ძროხები ცოცხლობენ 30 წლამდე.

6) თუ თქვენ ანგუსს შეაწყვილებთ სარძევე ჯიშის ინდივიდთან, შთამომავლობა მემკვიდრეობით მიიღებს აბერდინის შესანიშნავ სახორცე თვისებებსა და ფერს, თუმცა ამასთან ერთად, მოგვცემს საკმარისი რაოდენობის რძესაც.

7) აბერდინ-ანგუსის ხორცი მარმარილოსებრია. ეს ნიშნავს, რომ ცხიმოვანი ჩანართები ხორცის შიგნითაა, რაც პროდუქტის ჭრილზე გვაძლევს მარმარილოსებრ ნახატს. ხორცს აქვს შესანიშნავი გემო და არომატი, ამიტომაც იგი ითვლება დელიკატესად და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

8) ანგუსები არა მარტო სწრაფად იმატებენ წონაში, არამედ ადრე შედიან რეპროდუქტიულ ასაკში, ამასთან ადვილად იგებენ ხბოს.

9) აბერდინ-ანგუსის ბულები გამოირჩევიან წყნარი ხასიათით და ზომიერად მოძრავნი არიან.

10) ამ ჯიშის ცხოველებს აქვთ ლამაზი ტყავი, რომელსაც იყენებენ მაღალხარისხიანი ტყავეულობის დასამზადებლად.

11) რეპროდუქტიულობამ მთელი სიცოცხლის მანძილზე შეიძლება მიიღოს 95%-ს.

აბერდინ-ანგუსის სწორად კვების პრინციპები:

იმისათვის, რომ ჯოგი სწრაფად გაიზარდოს და პროპორციულად განვითარდეს, მნიშვნელოვანია საქონელს მივცეთ ჯანმრთელი რაციონი. ამ ჯი-

შის ძროხებს შესანიშნავად აქვთ განვითარებული დედობრივი ინსტინქტი, ამიტომ მშობლების გვერდით ყოფნა სასარგებლოა მოზარდი თაობისათვის, ხოლო დედის რძე იდეალური საკვებია შავი ანგუსის ხბოებისათვის, სანამ მათი წონა 230 კგ-ზე ნაკლებია (270 დღე).

ამ ძველი ჯიშის წარმომადგენლები რაოდენობრივად ჭამენ არაუმეტეს სხვა სახორცე ჯიშების მოზრებისა. ძუძუდან მოშორების შემდეგ ხბოებს აძლევენ სპეციალურ რაციონს. თავიდან მათ კვებავენ კონცენტრატებში შემცველი თივით, შემდეგ თანდათან უმატებენ სიმინდს. მნიშვნელოვანია, რომ სიმინდის მარცვლეულის პროპორცია რაციონში იყოს ოპტიმალური, რადგან ამის გარეშე საქონლის ხორცი არ გახდება მარმარილოსებრი სახის. ცხრათვიანი ძუძუთი კვე-



ბა უზრუნველყოფს ხბოს ჯანმრთელ იმუნურ სისტემას, საერთოდაც ანგუსები იშვიათად ავადმყოფობენ. დაკვლის წინ აბერდინ-ანგუსებს ინახავენ სადგომში და კვებავენ მარცვლეულით, რომ ხორცმა მიიღოს აუცილებელი მარმარილოსებრიობა. საქონლის არასწორი კვების შედეგების დამალვა შეუძლებელია იმიტომ, რომ კუნთების ცხიმოვანი შრეების სტრუქტურა პირდაპირ დამოკიდებულია ცხოველის კვების რაციონზე.

შავი ანგუსის ჯიშის ბულა იძლევა არანაკლებ 350 კგ მაღალხარისხოვან, შესანიშნავი გემოს მქონე ხორცს.

ბულები მიაღწევენ რა განმსაზღვრელ მაჩვენებლამდე, ანელებენ ზრდას.

შავი ანგუსისთვის ძლიერი ტენიანობა და ნყლიანი მინა ითვლება არახელსაყრელ პირობად. მთლიანად კარგი საძოვრის პირობებში არ მოითხოვება დამატებითი საკვების მიცემა.

ანგუსის ჯიში ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს:

1) სუსტი ფეხები, ამიტომ ისინი არ საჭიროებენ ძლიერ კვებას, წონის გადაჭარბებაც კი არ შეიძლება, მიუხე-

დავად იმისა, რომ კუნთები განვითარებული აქვთ.

2) მოითხოვენ საძოვრულ შენახვას, ამიტომ მისაღებია ფერმერული მეურნეობებისთვის.

ხორცის ინდუსტრიიდან საქართველოში, დღეს როგორც სხვა ქვეყნებში ყველაზე მეტი ქათმის ხორცი იყიდება, ეს გამონაკლისია მისი დაბალი ფასით, ხოლო პოპულარობა მაინც ძროხის ხორცზე მოდის, ამ გარდამავალ პერიოდში ძროხის ხორცის წარმოების ინდუსტრიის გასავითარებლად აუცილებელია სწორი ჯიშების შერჩევა მსოფლიოში არსებული წამყვანი ჯიშებიდან, ასევე ამ მიმართულებით ადგილობრივი ჯიშების პროდუქტიულობის გაუმჯობესება, რომელიც მორგებული იქნება გარემო პირობებზე და მომგებიანი მოსახლეობის-

თვის, ბიზნესისთვის.

კანზასის შტატის ხორცის წარმოების დარგის ეკონომიკა

● 2018 წლის მონაცემებით კანზასს უკავია მესამე ადგილი აშშ-ში ფერმერული მეურნეობებისა და სპეციალურ გასასუქებელ სადგომებში მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის მიხედვით, რომელთა რიცხვი 6.3 მილიონია. ეს რაოდენობა ორჯერ აღემატება კანზასის მოსახლეობის რაოდენობას, რომელიც 2.9 მილიონის ტოლია (კანზასის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა);

● 2017 წელს მსხვილფეხა პირუტყვისგან მიღებული შემოსავალი 8.27 მილიარდ აშშ დოლარს უდრიდა, ეს კი შტატის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შემოსავლების 51,1%-ია (კანზასის სასოფლო სამეურნეო სტატისტიკა);

● კანზასის 2018 წლის 1-ლი იანვრის მონაცემების თანახმად, მეექვსე ადგილი უჭირავს ქვეყანაში სახორცე პირუტყვის რაოდენობის მიხედვით, რაც 1.51 მილიონ სულს უდრის (კანზასის სასოფლო სამეურნეო სტატისტიკა);

● კანზასის მეორე ადგილი ეკავა ქვეყანაში 2017 წელს 6,5 მილიონი დაკლული კომერციული მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობით (კანზასის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა);

● კანზასის მესამე ადგილი ეჭირა 2016 წელს მსხვილფეხა პირუტყვისა და ხბოს ხორცის გაყიდვით მიღებული შემოსავლების რაოდენობით, რომელიც 782 მილიონ აშშ დოლარი იყო (კანზასის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა);

● ხორცის შეფუთვა და ხორცის მზა პროდუქტების წარმოება წარმოადგენს შტატის კვების პროდუქტების დამუშავების ინდუსტრიის უდიდეს ნაწილს. სწორედ ამ ინდუსტრიაშია დასაქმებული 18 700-ზე მეტი ადამიანი. (კანზასის შრომის დეპარტამენტი);

● კანზასის უჭირავს მეორე ადგილი 2017 წლის მაჩვენებლებით სპეციალურ გამოსაზრდელ სადგომებში გამოკვებილი პირუტყვის გაყიდვების მაჩვენებლის მიხედვით, რაც 4.94 მილიონის ტოლია, ეს წარმოადგენს მთელ აშშ-ში სპეციალურ სადგომებში გამოკვებილი პირუტყვის 22%-ს (კანზასის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა);

● 2016 წელს კანზასი გავიდა მესამე ადგილზე წითელი ხორცის წარმოების მიხედვით. წარმოებული ხორცის მთლიანი რაოდენობა იყო 5.4 მილიარდი გირვანქა. (ბრიტანული გირვანქა – 0,4536 კგ) (კანზასის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა);

● კანზასის კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ, ამუშავებენ, ახორციელებენ დისტრიბუციას და ყიდიან ხორცს და მეფრინველეობის პროდუქტებს, დასაქმებული ჰყავთ 19 798 ადამიანი და ქმნიან დამატებით 50 852 სამუშაო ადგილს მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიაში. ეს მო-



იცავს სამუშაო ადგილებს კომპანიებში, რომლებიც დაკავებული არიან მწარმოებლებისთვის პირუტყვისა და მომსახურების მიწოდებით: დისტრიბუტორები და საცალო გამყიდველები, აგრეთვე ისინი, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ხორცის ინდუსტრიაში არსებულ გაყიდვებზე (ამერიკის ხორცის ინსტიტუტი);

● 2012 წელს კანზასის ეკონომიკურ საქმიანობაში ხორცის ინდუსტრიის წილი იყო 12.9 მილიარდი აშშ დოლარი (ამერიკის ხორცის ინსტიტუტი);

● 2016 წელს კანზასმა დაიკავა მეოთხე ადგილი აშშ-დან ძროხის ტყავის ექსპორტის მაჩვენებლის მიხედვით, რომლის მთლიანი ღირებულებაც 193.1 მილიონი ა.შ.შ. დოლარი იყო (კანზასის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა);

● 2012 წელს კანზასში მსხვილფეხა პირუტყვის 27 600 ფერმა იყო (კანზასის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა);

● კანზასში 46 მილიონი აკრი (1 აკრი = 0.405 ჰა) სასოფლო-სამეურნეო მიწაა. თუმცა, ამ მიწის მთლიანი ნაწილის გამოყენება შეუძლებელია მოსავლის მოსაყვანად. მსხვილფეხა პირუტყვი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას კანზასის 15.5 მლ. აკრი ფართობის საძოვრებზე არსებული ბალახებისა და მცენარეების დასამუშავებლად. ეს ადგილები არ გამოდგება კულტივირებული მოსავლის მოსაყვანად და უქმად რჩებოდა, თუ მას არ გამოიყენებენ მსხვილფეხა პირუტყვის საძოვრის სახით, რის შედეგადაც ეს რესურსები იქცა ადამიანის გამოსაყენებელ გამიზნულ ცილებად და ნუტრიენტებად. (კანზასის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა);

**მიხეილ ჭიჭავაძე**  
ბიოლოგიის დოქტორი  
„მომავლის ფერმერის“ მეცხოველეობის სექტორის ხელმძღვანელი;  
**სულიკო ბერიძე**,  
ვეტერინარიის დოქტორი

რუბრიკას უძღვება „მომავლის ფერმერი“

## გაქვთ კითხვა აგრონომთან?

მოგვწერეთ ან ღარიკაით, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge  
ახალს მიიღებთ ჟურნალ „ახალი აგრონომი საქარტოვლოს“ საშუალებით.

### 1. როდის დავთმავთ კარტოფილი?

კარტოფილის შემოდგომაზე დარგვას ბევრი უპირატესობა აქვს. საჭირო აღარ არის სათესლე მასალის ზამთარში შენახვა. შემოდგომაზე დათესილი კარტოფილი უფრო შემოდის, ვიდრე – გაზაფხულზე. ასევე გაზაფხულზე დათესილი შეიძლება იმავე ზაფხულზე დაითესოს.

აღმოსავლეთ საქართველოში ნაკლებტენიან ადგილებში შემოდგომაზე უნდა მოიხნას, ტენიან ადგილებში – ადრე გაზაფხულზე.

კარტოფილისთვის ნიადაგის მომზადება შემოდგომაზე იწყება. ამ პერიოდში უნდა შევიტანოთ ორგანული და ფოსფორ-კალიუმიანი სასუქები ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით.

კარტოფილი უნდა დაირგას ბაძობებზე, რიგთაშორის მანძილი უნდა იყოს 65-75 სმ. მცენერებს შორის მანძილი 25-35 სმ. დარგვის სიღრმე 10-15 სმ. შემოდგომაზე თესვა დამოკიდებულია ტუბერის უნარზე, რომ შეძლონ ზამთრის ყინვის გადატანა.

### 2. როგორ მოვიყვანოთ ტიტა ორანჟირიაში?

ტიტა კარგად ხარობს განოყიერებულ, მსუბუქ თიხა ნიჟარზე, ტიტა ითესება კვლებში. დათესვის სიღრმე ბოლქვების ზომაზეა დამოკიდებული. დათესვამდე საჭიროა ნიადაგის განოყიერება ტორფით, ფოსფორით და კალციუმით.



3. როგორ მოუხაროთ ვარდს ორანჟერიაში?

ნიადაგი უნდა იყოს ფხვიერი, მსუბუქი. ნიადაგის რეაქცია (PH-6 -7.0). გადარგვის წინ უნდა მოვამზადოთ სუბსტრატი 2 ნილი კორდის მიწა, 1 ნილი ნეშომპალა, 1 ნილი გადამწვარი ნაკელი, ასევე ქვიშა, 1მ2. ირგვება 12 მცენარე.

ყურადღება უნდა მიექცეს ტემპერატურას, საჭიროა მისი რეგულირება. ზოგჯერ ფესვებზე აქვს ამონაყარი და საჭიროა მისი მოცილება.

4. როდის ითესება ყვავილოვანი კომბოსტო?

ყვავილოვანი კომბოსტო სხვადასხვა დროს ითესება.

საჩინო კვლებში, ბარში მაის-ივნისში ითესება, მუდმივ ადგილზე გადარგვება ივნისში, სექტემბერ-ნოემბერში მიიღება მოსავალი.

შეიძლება შემოდგომაზეც მისი დათესვა, მოსავლი აპრილ-მაისში მიიღება. ყვავილოვანი კომბოსტო შეიძლება ივლისშიც გადარგას ნიორის, ხახვის, ასევე სხვა კულტურების ადების შემდეგ.

5. რა ღონისძიებები უნდა ჩავატაროთ ვენახის გაშენებისას?

ვაზის ზრდა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის კარგად და ღრმად დამუშავებას.

პლანტაჟის საჭიროება და აუცილებლობა დადგენილია მრავალწლიური პრაქტიკული გამოცდილებით. პლანტაჟის დროს ნიადაგის უფრო ნოყიერი ზედა შრე გადაინაცვლებს ვაზის ნარგავის ფესვთა სისტემის განვითარების ძირითად

თად ზონაში, რითაც იქმნება მისი ძლიერი ზრდის ხელსაყრელი პირობები, როგორცაა ტენის შენარჩუნება, კარგი აერაცია და მიკრობიოლოგიური პროცესების დაჩქარება.

სავენახე ნიადაგის ღრმად დამუშავების აუცილებლობა დაკავშირებულია ვაზის ძლიერ და კარგად განტოტვილ ფესვთა სისტემის მიღებასთან. რაც შემდგომში უკეთესად უზრუნველყოფს და აუმჯობესებს ვაზის ზრდა განვითარებას, მის ოპტიმალური დატვირთვის შესაძლებლობას და საბოლოოდ დიდი და ხარისხიანი მოსავლის მიღებას. ამავე დროს, დადგენილია, რომ ღონიერი აგებულების ვაზები ხასიათდებიან ხანგრძლივი და ნაყოფიერი საექსპლუატაციო პერიოდით.

პლანტაჟის გაკეთების საუკეთესო დროდ ითვლება აგვისტო და შემოდგომა, როდესაც ნიადაგური და ატმოსფერული პირობები ხელს უწყობენ ნიადაგის უკეთესად გაფხვიერებას და მომზადებას დარგვისათვის.

აგრონესებით დადგენილია პლანტაჟის დამუშავების სიღრმე, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგის შემადგენლობაზე. გასაშენებელი ფართობი უნდა დამუშავდეს 60-70-80 სმ სიღრმეზე. ნიადაგის სტრუქტურასთან დამოკიდებულებაში პლანტაჟის გაკეთებიდან დარგვამდე საჭიროა მინიმუმ 3-5 თვე, რათა ნიადაგმა დარგვამდე კარგად მოასწროს „დაჯდომა“. ნიადაგი გასაშენებლად, მომზადებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც კარგად გაფხვიერებულია და დამჯდარი. დაპლანტაჟებული ფართობი ვაზის დარგვამდე 20-25 დღით ადრე უნდა გადაინახას გარდვიგარდმო 25 სმ. სიღრმეზე და დაიფარცხოს დისკობიანი ფარცხით, თუ სტრუქტურა კარგად არ დაიშალა და არ გაფხვიერდა, მაშინ უნდა დაიფრეზოს და მოსწორდეს.

ვეტერინარის გვირგი

რუპრიკას უძღვება „მოგავლის ფერმერი“

გაქვთ კითხვა ვეტერინართან?

მოგვწერეთ ან ღარიკეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge  
ასაუსს მიიღებთ ჟურნალ „ახალი აგრონომიის საქართველოს“ საშუალებით.

1. ღორები ატრილი მხავდნენ ჭირზე, მებრამ უტნოვი ინფექციით მინც დამეღუნენ. ამ შემთხვევაში, ვაქცინამ არ იმუშავა, თუ როგორი სხვა დაავადებაზე გავამახვილოთ ყურადღება?

რა თქმა უნდა, აუცილებელია ვადიანი და ხარისხიანი ვაქცინის გამოყენება. თუ დარწმუნებული ვართ ვაქცინის საიმედოობაში, ეჭვი მიგვაქვს სხვა ინფექციურ დაავადებაზე.

სშირ შემთხვევებში, არ ხდება გოჭის აცრა პასტერელიოზზე, რომელიც ზოგჯერ უფრო მწვავედ მიმდინარეობს, ვიდრე – ჭირი. აუცილებელია ამ ვაქცინის გაკეთება, ვინაიდან არანაკლებ დიდია ამ დროს ეკონომიკური ზარალი. დაავადების დროს კი, დროული დიაგნოსტიკისა და სწორად შერჩეული მკურნალობით გადავარჩინოთ ცხოველთა დიდ რაოდენობას.

2. მიწა გავაკეთო ცხვრის გაბანება. რა საშუალებაა ბია ამ შემთხვევაში აბაზანისთვის საუკეთესო?

ცხვრის გასაბანად გამოიყენება პრეპარატი „ექტოციდოლი“, რომლის 1ლ იხსნება 2,4 ტონა წყალში. ამ პრეპარატის 2 ტონაში გახსნას ყუთურის დროს მიმართავენ. ასევე

კარგ ეფექტს იძლევა პრეპარატი „ბიტოკსი“, რომლის 1 ტონა იხსნება 1,6 ტონა წყალში.

3. სშირად, როცა ვაქცინას ვაკეთებ ძათმავზე, ფრინველთა უმეტესობა მხცოვება და ვაფრინებ, თანე ვევიკავო ატრის ჩატარებისგან; თუმცა, გარკვეული ნაწილი მინც კვდება, როგორ მოვიქცე?

ვაქცინაცია ტარდება მხოლოდ ჯანმრთელ ფრინველებზე; თქვენ ახდენთ ვაქცინაციას დაავადებულ ან იმუნურად დასუსტებულ ფრინველებზე. ამიტომ, სასურველია ვაქცინაციამდე დეჰელმინთიზაცია (ჭიაზე დამუშავება) („ფენბექსი“), ანტისტრესული საშუალებებისა და ვიტამინების ნაკრების სასმელ წყალში მიცემა ვაქცინაციამდე და შემდეგ „დასი“, „ჩიკტონიკი“, „ავალპრემიუმი“.

4. ჩემს ხვობს ჰქონდათ გამონადენი თვალებიდან. გამოვიყენე როგორც თვალის წვეთები, ასევე მალაგოც, მებრამ უშედეგოდ. რა არის ამ დროს უფრო ეფექტური?

ეფექტური სწორი მკურნალობაა. თქვენ მკურნალობდით მხოლოდ სიმპტომს და არა მიზეზს. მიზეზი ამ შემ-

თხვევაში თვალის პარაზიტი „თელაზიოზია“. აუცილებელია ორჯერადად ცხოველის დამუშავება („პრომექტინი“, „ბიომექტინი“, „ვილმექტინი“). ხოლო შემდგომ, თელაზიოზით გამოწვეული კონიუქტივიტის მკურნალობაც ეფექტურია ნვეთებითა და „ტეტრაციკლინის მალამოთ“

**5. მყავს ძროხა, რომელმაც უკვე 3 თვეა მოიზო ხო და ინველიზა ნორმალურად. ერთ საღამოს საძმპრიდან დაბრუნდა მოწყინილი, უმაღლბა ჰქონდა. შებონ-**

**მეზისას აღმოაჩნდა მაღალი ტემპერატურა, მიორე დილით კი რძე არ ჰქონდა...**

სეზონურად, დიდი ალბათობით სახეზეა პიროპლამოზის შემთხვევა მცირე გართულებებით. აუცილებელია პრეპარატ „პიროტექსის“ ინექცია კუნთში. მეორე დილით ვამონებთ ისევე ტეპერატურას; თუ ისევ მაღალია, ვიმეორებთ „პიროტექსს“ ანტიბიოტიკთან ერთად („ოქსიტეტრაციკლინი 200“). ცხოველის დასუსტებისა და წველადობის შემცირების გამო სასურველია „კალფოსეტის“ (ან „კალსიმინის“) ინექცია.

# ის მარტო თეორეტიკოსი კი არა, კარგი პრაქტიკოსი და მრჩეველია



**რა სწრაფად გადის დრო, თითქმისდა ყველაფერი აბერ ახლა იყო, მგარამ ჩვენი, კოლეგა, მასწავლებელი და გულითხადი მეგობარი ბატონი ადოლ ტყეშელაშვილი 70 წლის გამხდარა.**

დაგის დამუშავების სისტემები და სხვა.

ბატონ ადოლ ტყეშელაშვილის ავტორობით ყურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულია მრავალი სტატია აგრარული დარგის აქტუალურ საკითხებზე, მონაწილეობას ღებულობს სატელევიზო გადაცემებში. არის ორი სიმინდის ჰიბრიდის ერთი ხორბლის და ერთი საპარკე ლობიოს ჯიშის ავტორი. იგი გახლავთ ჩვენი ყურნალის, „ახალი აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ადოლ ტყეშელაშვილი 1948 წლის 28 ნოემბერს იმერეთის – ვანის რაიონის ულამაზეს სოფელ ქვედა ბზვანში დაიბადა. 1956 წელს შევიდა სოფელ ქვედა ბზვანის დაწყებით სკოლაში, შემდეგ კი სწავლა ამაღლებების საშუალო სკოლაში განაგრძო, რომელიც დაამთავრა 1966 წელს.

1971 ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1977 წელს, როგორც წარმატებულმა კურსდამთავრებულმა მუშაობა საქართველოს მინათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის თესლობრუნვის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე დაიწყო.

1979-1983 წლებში სწავლობდა საქართველოს მინათმოქმედების ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურაში, დაამუშავა საკვალიფიკაციო თემა და 1987 წელს მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, შემდგომში დოქტორის ხარისხი.

გამოქვეყნებული აქვს 32-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რამდენიმე რეკომენდაცია, მონოგრაფია „მარცვლეული კულტურების მეთესლეობა და თესლმცოდნეობის საფუძვლები.“ მინათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და შემდგომში სართიჭალის საცდელ სადგურში საქმიანობის პერიოდში დაამუშავა მრავალფაქტორიანი, კომპლექსური სამეცნიერო თემები, ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები, ნია-

უნდა ითქვას, რომ მისი სტატიები გამოირჩევა საკითხებისადმი როგორც ღრმა თეორიული ისე თანამედროვე პრაქტიკული მიდგომით. ჩვენი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ბატონი ადოლს მიერ ჩვენ ყურნალში გამოქვეყნებული სტატიები: ქვეყანაში მეთესლეობის მდგომარეობის, განვითარების პერსპექტივის და გადაჭრის გზების პრაქტიკული წინადადებების ზე.

1990 წლიდან 1996 წლამდე იგი მუშაობდა მინათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ელიტური და პირველადი მეთესლეობის განყოფილების გამგედ.

1995 წელს ისრაელში „მაშავის“ საერთაშორისო ცენტრში გაიარა ერთთვიანი კურსები „მარცვლეული კულტურების შენახვის ტექნოლოგია“ და მიენიჭა საერთაშორისო ექსპერტის კვალიფიკაცია.

1996-2000 წ.წ. მოღვაწეობდა მინათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წილკნის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორად. 2000-2002 წლებში ამავე ინსტიტუტში მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-მუშაკია. 2002-2003 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის სართიჭალის საცდელი სადგურის სწავლული მდივანი, ხოლო 2003 წლიდან კონკურსის წესით დაინიშნა ამავე სადგურის დირექტორად, სადაც 2014 წლამდე იმუშავა.

2014 წლიდან დღემდე იგი საქმიანობას ეწევა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრში, სადაც იყო კონსულტანტი, დღემდე არის ამავე ცენტრის მთავარი აგრონომი.

უნდა ითქვას, რომ ბატონი ადოლს საქმიანობა მთლიანადაა დაკავშირებული აგრარულ მეცნიერებასთან. იგი არა მარტო თეორეტიკოსი, არამედ კარგი პრაქტიკოსი და მრჩეველია.

დღესდღეობით, საქმიანობს დიდი შემართებით, იგი თავისი საქმის დიდი მოყვარული და პროფესიონალია. ძალიან საინტერესოა მასთან საუბარი სოფლის მეურნეობის დარგის აქტუალურ საკითხებზე. ასევე აღსანიშნავია მისი გულისტკივილი, იმასთან დაკავშირებით რომ საქართველოში, როგორც დიდი აგრარული ტრადიციების მქონე ქვეყანაში, აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგს სახელმწიფოს მხრიდან ქონდეს სათანადო ყურადღება, რადგანაც ქვეყნის განვითარების პერსპექტივის საიდუმლოება, მისი აზრით, სწორედ, რომ აგრარული სფეროს განვითარებაა.

ყურნალ „აგრარული საქართველოს“ რედკოლეგიის, კოლეგებისა და მეგობრების სახელით, სულითა და გულით ვულოცავთ ბატონ ადოლს დაბადებიდან 70 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ, რომელიც მას ასე ძალიან უყვარს.

**კოლეგებსა და მეგობრების სახელით,  
შოთა მაჭარაშვილი,  
ყურნალ „აგრარული საქართველოს“  
რედაქტორი;  
ზურაბ ლულაძე,  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
დოქტორი;  
გოჩა წარბაქიანი,  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
დოქტორი**



ზექმენი მომავალი  
საუკეთესო ტრაქტორებზე  
ერთად!

**VALTRA**

**YOUR  
WORKING  
MACHINE**



**MACHINE OF  
THE YEAR 2016**



ფინური კომპანია **ვალტრას**  
მე-4 თაობის ტრაქტორები -  
სასოფლო-სამეურნეო,  
საგზაო-კომუნალური და სამშენებლო  
სამუშაოებისთვის!

[www.valtra.com](http://www.valtra.com)

წარმომადგენელი საქართველოში:

**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
☎ 2 90 50 00 2 18 18 81





# АГРОТЕКС®

გსურთ მიიღოთ ადრეული, სალი და უხვი მოსავალი?



გთავაზობთ უნიკალურ, ჰაერგამტარი მულჩის და დამცავი გადებვის ფართო ასორტიმენტს, როგორც დანიცავს მცენარეს სარეველებისაგან, გადახურების, დამწვრობების და ნაყინვისაგან, შექმნის სასურველ კლიმატს მცენარის უკეთესი აღმოცენებისა და განვითარებისათვის, გაზიარდით მოსავლიანობას, დაზიანებებით დროს და თანხას.

პროდუქციის დეტალური  
გაცნობა შესაძლებელია  
კომპანიის შოუ რუმში,  
მისამართზე თბილისი, დიდუბე  
პლაზა პირველი სართული.

**WWW. AGROTEKS.RU.**

დაგვიკავშირდით:  
599 529 529 / 599 761321;  
E-mail: tmikadze@yahoo.com